პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის, ტფ. კომიტეტის და ცაკის ორგანო

№ 20 (4177) | სამშაბათი, 22 იანვარი 1935 წ.

11 წელი ლენინის გარდაცვალებიდან

„ლენინის დროშით გავიმარჯვეთ ჩვენ ოქტომბრის რევოლუციისათვის ბრძოლაში.
ლენინის დროშით მივაღწიეთ ჩვენ გადამწყვეტ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.
ამ დროშითვე გავიმარჯვებთ მთელი მსოფლიოს პროლეტარულ რევოლუციაში".

სტალინი

ვ. ი. ლენინი და ი. ვ. სტალინი გორკაში

ლენინის საქმე—მტკიცე ხელშია

„პრავდის" მოწინავე 21|I

თერთმეტი წელია, რაც ლენინი გარდაიცვალა. უმაღლეს მთის მწვერვალად დგას ეს კაცი ისტორიაში. გაივლის მრავალი ათი ათასი წელი, ადამიანები მიაღწევენ პროგრესის ისეთ მაღლობებს, რომლის წარმოდგენა უძლიერეს ფანტაზიასაც კი არ შეუძლია, მაგრამ მთის მწვერვალი, რომლის სახელია ლენინი, არ დაიჩრდილება, არ დაიფარება დავიწყების ბურუსით. იგი დასანახი იქნება ადამიანთათვის იმ ისტორიულ შორეულიდან, როგორც მობრუნების პუნქტი კაცობრიობის ისტორიაში.

ათასწლობით გრძელდებოდა ჩაგრულთა ბრძოლა მჩაგვრელებთან, მშრომელთა ბრძოლა განთავისუფლებისათვის. ზღვასავით იღვრებოდა საუკეთესო ადამიანთა სისხლი, მაგრამ განთავისუფლება ბრსად სჩანდა. უნდა წარმოშობილიყო თანამედროვე მუშათა კლასი მისი დისციპლინით, სიმტკიცით, დარაზმულობით, რომ იგი სათავეში ჩასდგომოდა ყველა მშრომელს და ჩაგრულთ.

მარქსმა და ენგელსმა მუშათა კლასს მისცეს მეცნიერული თეორია, გამომუშავებული ბრძოლაში და დაფუძნებული მშრომელთა ბრძოლის მთელს წინანდელ გამოცდილებაზე, დაფუძნებული ადამიანთა ცოდნის უმაღლეს მიღწევებზე. მარქსმა მუშათა კლასს მისცა იარაღი სოციალიზმისათვის საბრძოლველად — მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

მაგრამ საჭირო იყო გენიალური ბელადი, რათა აღედგინა მარქსიზმი, დამახინჯებული ოპორტუნისტების მიერ, და განევითარებინა იგი, რათა მუშათა კლასი წაეყვანა გადამწყვეტ ბრძოლაში, აერჩია ხელსაყრელი მომენტი ბრძოლისთვის და გაემარჯვნა ამ ბრძოლაში. ასეთი ბელადი იყო ვლადიმერ ილიჩის ძე ლენინი.

ლენინი დაჯილდოებული იყო მუშათა კლასის გენიალურ ბელადის ყველა თვისებით: მიზნის ნათლად შეგნება, უდიდესი შეუპოვრობა და გამარჯვების ურყევი ნებისყოფა. უნდა გავიმარჯვოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს და ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, თუ არ შევდრკებით, თუ არ შევშინდებით —აი რას ასწავლიდა ლენინი მუშათა კლასს.

ლაჩრები მენშევიკები და ყველა ჯურის ოპორტუნისტები მუშათა კლასს აშინებდენ სიძნელეებით და ვითარების სირთულით. ისინი ყოველნაირად ცდილობდენ დახმარებოდენ ბურჟუაზიას ჰყოლოდა მუშათა კლასი დამორჩილებაში. მაგრამ ლენინი ტყუილად კი არ ებრძოდა ოპორტუნისტებს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. „განსაკუთრებით რთული ვითარება რომ არ ყოფილიყო,—ამბობდა ლენინი,—არც რევოლუცია იქნებოდა. მგლის შიშით—ცხვარი ვინ გააწყო".

ოქტომბრის რევოლუციის წინ ლენინი, როგორც არმიის სარდალი, იძლეოდა ბრძანებას:

„შეხვდეს საუკეთესო მუშათა რაზმები, შეიარაღებული თოფებით და ყუმბარებით შეტევისა და მტრის „ცენტრების" (იუნკერთა სკოლა, ტელეგრაფი და ტელეფონი და სხვ.) გარემოცვისათვის ლოზუნგით ყველანი დავიხოცებით, მაგრამ არ გაუშვებთ მტერს".

და არც გაუშვიათ მტერი. იგი განადგურებულ იქნა. ამისთვის საჭირო გახდა არა ერთი ბრძოლა, მაგრამ მტერიც არ იყო მარტო. მრავალ ენაზე მოლაპარაკე კონტრრევოლუციური ბურჟუაზია უტევდა პროლეტარულ რევოლუციას, რათა სისხლში ჩაეხრჩო იგი. რევოლუციამ გაუძლო ცეცხლით და მახვილით შემოტევას.

ლენინი გარდაიცვალა, როცა რევოლუციის წინაშე პრაქტიკულად დაისახა კიდევ უფრო ძნელი, კიდევ უფრო გრანდიოზული ამოცანა—სოციალიზმის აშენება. ლენინს არა ერთხელ ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ მტერზე გამარჯვება სამეურნეო მშენებლობაში უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე გამარჯვება ბრძოლის ასპარეზზე. საჭირო იყო რევოლუციის ბელადი, რომელიც მუშათა კლასს წაიყვანდა ამ უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლაში. საჭირო იყო სტალინი.

სტალინი იყო ლენინის უახლოესი თანამებრძოლი, მისი მარჯვენა ხელი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებაში, მის განხორციელებაში, მტერზე გამარჯვების ორგანიზაციაში. სტალინი ბოლომდე რჩება ლენინის ერთგულ მოწაფედ და სწორედ ისევე, როგორც ლენინმა განავითარა მარქსის თეორია და გამოიყენა იგი ახალ ვითარებაში, ისე სტალინმა განავითარა ლენინის მოძღვრება და გამოიყენა იგი ჩვენს პირობებში.

როცა ლენინი გარდაიცვალა, არც ქალაქში და არც სოფლად ჯერ კიდევ არ იყო გადაჭრილი ძირითადი საკითხი: ვინ-ვის. მუშათა კლასი ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ერთერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში.

მუშათა კლასის მოღალატენი ტროცკისტები, ზინოვიევლები, მემარჯვენე უკლონისტები, მემარჯვენე-მემარცხენე მახინჯები და სხვ.—ჩვენი გზის მთელ მანძილზე ცდილობდენ რევოლუცია გადაეყვანათ კაპიტალიზმის რესტავრაციის გზაზე. საჭირო გახდა სტალინის უდიდესი შეუპოვრობა და გამჭრიახი სიბრძნე, მისი ურყევი ნებისყოფა და გამარჯვების რწმენა, რათა პარტია და მუშათა კლასი გაეტარებინა ლენინის გზით, რათა გადაელახა ყველა სიძნელე.

საკითხი ვინ-ვის გადაჭრილია საბოლოოდ და დაუბრუნებლივ. წარმატებით დამთავრდა სოციალიზმის საძირკვლის აგება და ასევე წარმატებით მიმდინარეობს სოციალიზმის შენობის აგება.

სოციალისტური ურთიერთობა იმდენად მტკიცედ დამკვიდრდა ყოფაცხოვრებაში როგორც ქალაქში, ისე სოფლად, რომ იგი უკვე ხელშესახები ხდება.

1923 წელს მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია უდრიდა 4 მილიარდ მანეთს. 1934 წელს მსხვილი მრეწველობის პროდუქცია იმავე ფასებში უდრის 49,5 მილიარდ მანეთს. სოფლის მეურნეობა იმდენად შეიცვალა, რომ მისი შედარებაც კი არ შეიძლება იმასთან, რაც იყო 11 წლის წინათ.

ჩვენ წარმოადგენდით ტექნიკურად ერთერთ ყველაზე მეტ ჩამორჩენილ ქვეყანას. გადავიქეცით ერთერთ ყველაზე მოწინავე ქვეყნად. მრეწველობის პროდუქციის მხრივ საბჭოთა კავშირს დღეს პირველი ადგილი უკავია ევროპაში, ხოლო მრეწველობის ცალკე დარგების მხრივ, მაგალითად, ტრაქტორების მშენებლობის დარგში, — პირველი ადგილი მსოფლიოში. ჩვენ გვაქვს ყველაზე უფრო მექანიზებული სოფლის მეურნეობა მსოფლიოში და, რასაკვირველია, თავისი საზოგადოებრივი ფორმით ყველაზე მოწინავე წარმოება.

ასეთია პარტიის მუშაობის შედეგი მისი უდიდესი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ამ 11 წლის განმავლობაში. ლენინის საქმე მტკიცე ხელშია. ლენინიზმის დროშა მაღლა ფრიალებს მსოფლიოში. დამარცხდა ოპორტუნისტების ყოველგვარი ცდა დაექცათ ეს დროშა. მტერი განადგურებულია. მაგრამ ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ მტერი უწყინარი, უფრო თვინიერი გახდა. ავიდა რა უდიდეს სიმაღლეზე, მუშათა კლასი, რომელსაც სათავეში უდგას ლენინ-სტალინის პარტია, მიდის ახალი გამარჯვებებისაკენ. უდიდესი სიფხიზლე მტრის და მისი საიზღვარი [illegible] — ეს [illegible] ჩვენი წინსვლის პაროლი.

ვ. ი. ლენინის გამოუქვეყნებელი დოკუმენტი

ლენინის სტატია „გაშალეთ კარტი", მიმართული ლიკვიდატორების წინააღმდეგ, დაწერილია მის მიერ პარიზში 1912 წლის მარტის დამლევს, მე-4 სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის მომზადებასთან დაკავშირებით. სტატია დანიშნული იყო ბოლშევიკურ გაზეთ „ზვეზდისთვის", რომელიც ლეგალურად გამოდიოდა პეტერბურგში. პოსტსკრიპტუმი, რომელიც სტატიის ბოლოშია გამოქვეყნებული, იყო ჩვენ მიერ ლენინის კრებულში XXV, გვ. 23, როგორც წერილი „ზვეზდის" რედაქციისადმი.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან.

ვ. ი. ლენინი

გაშალეთ კარტი

მონაკოს სამთავროს ენა არის ენა, რომელსაც კარგად იცნობენ ჩვენი წარჩინებული პირები, ბატონი მინისტრები, სახელმწიფო საბჭოს წევრები და სხვ.[1]

ცნობილია, თუ ვინ შემოიღო სახმარეაში ეს ენა ჩვენს სახელმწიფო საბჭოში! ამიტომ ჩვენ ცოტა არ იყოს გაგვიკვირდა, როცა გაზეთ „ჟივოე დელოს" მერვე ნომერში შევხვდით იმ გამოთქმას, რომელიც დასმულია სტატიის სათაურში.[2]

მაგრამ საქმე გამოთქმის ხერხში როდია. ავტორიტეტულობა — ლიკვიდატორებს შორის—იმ პირისა, რომელმაც იგი იხმარა (ლ. მარტოვი), აღძრული თემის მნიშვნელობა („გაშალეთ კარტი" საარჩევნო კამპანიის საკითხებში, მის პრინციპებში, მის ტაქტიკაში და სხვ.), ყოველივე ეს გვაიძულებს ჩვენ ხელი მოვკიდოთ ლოზუნგს დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ არის ის გამოთქმული.

„გაშალეთ კარტი", ის—საუცხოო ლოზუნგია; და ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, გვსურდა, რომ იგი გამოგვეყენებია გაზეთ „ჟივოე დელოს" მიმართ. „გაშალეთ კარტი", ბატონებო!

ლიტერატურულ საქმეებში კამოცდილი ადამიანები უცბად აღკვევენ გამოცემის ხასიათს, თანამშრომელთა შემადგენლობის მიხედვით, ცალკეული გამოთქმებითაც კი, რომლებიც გვიჩვენებენ ორგანოს მიმართულებას, თუ ეს მიმართულება [illegible] ოდნავ მაინც შეფერილ და ცნობილ მიმართულებათა რიცხვს. ასეთი ადამიანებისათვის საკმარისი იყო ერთხელ გადაევლოთ თვალი გაზეთ „ჟივოე დელოსათვის", რომ გამოერკვიათ მისი კუთვნილება ლიკვიდატორულ მიმართულებისადმი.

მაგრამ ფართო საზოგადოება არც ისე ადვილად ერკვევა ორგანოების მიმართულებაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლაპარაკია არა თეორიულ დასაბუთებაზე, არამედ ცოცხალ პოლიტიკაზე. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და განსაკუთრებით საჭიროა მოვიგონოთ ლ. მარტოვის მიერ ესოდენ დროულად წამოყენებული ლოზუნგი: „გაშალეთ კარტი", ვინაიდან სწორედ „ჟივოე დელო" მალავს კარტებს!

ის იდეები, რომელთა გატარებას „ჟივოე დელო" იწყებს, მუშავდებოდა რამდენადმე თანამიმდევრობით და სისტემატიურად **მხოლოდ** ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ორგანოებში — „ნაშა ზარიაში", „ჟიზნში", „ვოზროჟდენიეში", „დელო ჟიზნში". ორი წლის განმავლობაში აქ საკმაოდ საგრძნობი მასალა დაგროვდა. გვაკლია მხოლოდ შეჯამება, და განსაკუთრებით შეჯამება, რომელიც მოახდინეს სწორედ იმათ, ვინც ორი წლის განმავლობაში ეწეოდა ასეთ დამუშავებას. გვაკლია ლიკვიდატორული იდეების გამტარებელთა მიერ იმ იდეების აშკარად განმარტება, რომლებიც მისცა მათ „ნაშა ზარიას" ორი წლის „მუშაობამ".

და სწორედ აქ „ახდილი მუშათა პარტიის" შესახებ ლაპარაკის მოყვარულნი აღმოჩნდენ **დახურული** თამაშის მოყვარულნი: მაგალითად, თქვენ მერვე ნომრის მოწინავეში კითხულობთ, რომ შრომისა და ცხოვრების საერთო გაუმჯობესებისა და **ძირფესვიანად** შეცვლისათვის ბრძოლის გზა მდგომარეობს „**ნაწილობრივ უფლებათა** (კურსივი სტატიის ავტორისაა) **დაცვაში**. იმავე ნომრის შენიშვნაში თქვენ კითხულობთ „მუშათა ახდილი მოძრაობის რომელიღაც პეტერბურგელ მოღვაწეებზე", რომ ისინი, „**როგორც დღემდე**" მოახდინენ „პროლეტარული სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღორძინების და შექმნის იმ მეთოდების პოპულარიზაციას სოციალ-დემოკრატიაში, რომლებსაც ისინი დღემდე იცავდენ.

გაშალეთ კარტი! რა თეორიაა ეს ნაწილობრივ უფლებათა დაცვის თეორია? არც ერთ გაფორმებულ, ოფიციალურ, მუშათა ჯგუფების ან ჯგუფების წარმომადგენლების მიერ აღიარებულ, **აშკარად** აღიარებულ დებულებებში ეს თეორია არ არის განცხადებული. ხომ არ არის ეს ის თეორია, რომლის შესახებაც ჩვენ, მაგალითად, გვიამბო გ. ვ. ლევიცკიმ „ნაშა ზარიას" 1911 წლის მეთერთმეტე ნომერში? შემდეგ, როგორ შეუძლიათ გაზეთის მკითხველებს იცოდნენ, თუ **როგორ** [illegible] იცავდენ „პარტიის აღორძინებას და **შექმნას**, — იმ პარტიის, რომელიც, როგორც [illegible], არ არსებობს, — ვიღაც ახდილი მოძრაობის დაუსახელებელი მოღვაწეები და რატომ არ უნდა დავასახელოთ ეს მოღვაწეები, თუ ისინი ნამდვილად არიან „ახდილი" მოძრაობის მოღვაწეები, თუ ეს სიტყვები მარტო **პირობითი ფრაზა** არ არის?

„**პარტიის აღორძინების და შექმნის** მეთოდების საკითხი" **ხომ** არ არის რაიმე ნაწილობრივი საკითხი, რომელიც შეიძლება აღიძრას და გადაიჭრას გზადაგზა, იმ დანარჩენ პოლიტიკურ საკითხებს შორის, რომლებიც აინტერესებენ ყველა გაზეთს. არა ეს—ძირითადი საკითხია. არ შეიძლება ლაპარაკი არც პარტიის საარჩევნო კამპანიაზე, არც პარტიის საარჩევნო ტაქტიკაზე, არც პარტიის კანდიდატებზე, სანამ ეს საკითხი არ არის გადაჭრილი. და იგი გადაჭრილი უნდა იქნას არაორაზროვნად, დადებითად, ვინაიდან აქ ნათელი თეორიული პასუხის გარდა, საჭიროა **პრაქტიკული** გადაწყვეტილება.

ლაპარაკია ვ. ლევიცკის სტატიაზე: „ჩვენი" კონსტიტუცია და ბრძოლა უფლებისათვის", რომელიც მოთავსებულია ლიკვიდატორების ჟურნალ „ნაშა ზარიას" 1911 წლის მეთერთმეტე ნომერში. ამ სტატიაში ლევიცკი იცავდა „ლეგალური, პოლიტიკური საზოგადოების" შექმნის საჭიროებას.

სოფიზმებს—და ძალიან ცუდი ხარისხის სოფიზმებს — წარმოადგენს მსჯელობა, რომელიც ხშირად გვხვდება, თითქოს საარჩევნო კამპანიის პროცესში შეიქმნებიან ან დაირაზმებიან პარტიის აღორძინების და შექმნის ელემენტები და სხვ. და სხვ. ეს სოფიზმია, რადგან პარტია არის **ორგანიზებული** რამ. მუშათა კლასის საარჩევნო კამპანია არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, თუ არ არსებობს ერთიანი გადაწყვეტილებანი, ერთიანი ტაქტიკა, ერთიანი პლატფორმა, მთელი კლასის ან, ყოველ შემთხვევაში, მისი მოწინავე ფენის ერთიანი კანდიდატურები.

ამგვარი სოფიზმები, ჯერ განცხადებები ანონიმურ, უცნობ და **პროლეტარიატისათვის** შეუმჩნეველი ლეგალური მოღვაწეების სახელით — მერე ვინ არ უწოდებს ამჟამად თავის თავს „მუშათა ლეგალურ მოძრაობის მოღვაწეს"!

რამდენი ბურჟუა ეფარება ამ სახელწოდებას! ყოველივე ეს წარმოადგენს უდიდეს საშიშროებას, რომლის შესახებ არ შეიძლება არ გავაფრთხილოთ მუშები. საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ „აშკარა" გამოსვლაზე ლაპარაკობენ მხოლოდ **თვალის ახვევად**, ხოლო ნამდვილად ვღებულობთ წრის „**დახურული**" დიქტატურის ყველაზე ცუდ სახეს!

ეჭვქვეშ აყენებენ „არალეგალობის" წინააღმდეგ, თუმცა იქ ჩვენ ვხედავთ აშკარა გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ახლა საზოგადოება გაეცნო საგრძნობ წილად ბურჟუაზიული პრესის („გოლოს ზემლი", „კიევსკაია მისლ", „რუსკოე სლოვო", „გოლოს მოსკვი", „ნოვოე ვრემია") მეოხებით. რამდენი **ასეული** ათასი მკითხველი **აშკარად** გაეცნო ახლა სავსებით გარკვეულ გადაწყვეტილებებს, რომელნიც მოასწავებენ საარჩევნო კამპანიის ნამდვილ ერთიანობას. მაგრამ ისინი, ვინც გაჰყვირის არალეგალობის **წინააღმდეგ** „აშკარა პოლიტიკური მოღვაწეობის" **სასარგებლოდ**, წარმოადგენენ სწორედ იმის ნიმუშს, რომ ისინი ერთ ნაპირს დაშორდენ, მეორეს კი ვერ მიადგენ. ძველი უარყოფილია, ახლის შესახებ მარტოოდენ ლაპარაკია.

„**აღორძინების** და შექმნის მეთოდებს", რომლებზედაც ლაპარაკობს „ჟივოე დელო", ჩვენ ვიცნობთ — და ყველა აშკარად იცნობს—მხოლოდ იმ მეთოდებს, რომლებსაც ავითარებდენ და იცავდენ „ნაშა ზარიაში". სხვებს ჩვენ არ ვიცნობთ არც აშკარად და არც სხვანაირად. ჯგუფების წარმომადგენლებს არც ერთხელ არ უცდიათ ამ მეთოდების განხილვა აშკარად ან სხვანაირად, **არ არის** ამ მეთოდების არც ერთი ფორმალური და გაფორმებული, ოფიციალური **გადმოცემა. სიტყვების**—ახდილი, ახდილის, ახდილზე,*) — **სათარით** ჩვენ ვღებულობთ სრულიად დახურულს და სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით — წრიულს, ლიტერატორულად წრეობრივს.

ჩვენ ვიცნობთ ცალკე ლიტერატორებს, რომელნიც [illegible] არ არიან [illegible], რომელნიც არაფრით არ [illegible] [illegible]. ჩვენ ვიცნობთ მათ სიტყვებს „მეთოდებზე", ძველის ლიკვიდაციაზე.

მეტი ჩვენ არაფერი ვიცით და არც არავინ იცის ახდილი ღია პოლიტიკური მოღვაწეობისა. აი, თუ გნებავთ, პარადოქსი, — მოჩვენებითი პარადოქსი, ხოლო ნამდვილად რუსეთის ცხოვრების **ყველა** პირობების სრულიად ბუნებრივი პროდუქტი, — რომ ყველაზე გავრცელებული ბურჟუაზიული [illegible] ზემოქმედი მნიშვნელობისა სწორედ „არაახდილი" პოლიტიკური მოღვაწეობა, გადაწყვეტილებანი, ლოზუნგები, ტაქტიკა და სხვ. უფრო ზუსტად, სწრაფად და პირდაპირ გაიცნო მასებს, ვიდრე „ახდილი მოძრაობის მოღვაწეთა" არარსებული გადაწყვეტილებანი. ან იქნებ **ვინმე** დაიწყებს მტკიცებას, რომ გაფორმებულ გადაწყვეტილებათა გარეშე შესაძლებელია საარჩევნო კამპანია? გაფორმებულ გადაწყვეტილებათა გარეშე შესაძლებელია განსაზღვრონ ამომრჩეველთა ათეულმა და ასეულმა ათასებმა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ტაქტიკაც, პლატფორმაც, შეთანხმებებიც, კანდიდატურაც?

მარტოვი, რომელმაც ჩამოაგდო სიტყვა „კარტის გაშლაზე", შეეხო ლიკვიდატორების მტკივან ადგილს და არ შეიძლება გავაშუქოთ ის ენერგია, რომლითაც მუშები უნდა გავაფრთხილოთ. გაფორმებულ გადაწყვეტილებათა გარეშე, პრაქტიკულ საკითხებზე ყოველგვარი გარკვეული პასუხის გარეშე, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა თვითეული ფრაზის, თვითეული სიტყვის განხილვაში თუნდაც ათობით და ასობით მოწინავეების მონაწილეობის გარეშე მუშათა მასას სთავაზობენ... **აშკარად დაუსახელებელი** „ღია მოძრაობის მოღვაწეების" ე. ი. ბ. ბ. პოტრესოვების, ლევიცკების, ჩაცკების, ეჟოვების, ლარინების აზრებს და მონახაზებს.

კარტებს მალავენ, ვინაიდან მუშების წინაშე მათი გადაშლის სულ მცირე ცდაც კი მათ ცხადზე უცხადესად დაანახვებს, რომ აქ ლაპარაკია არა მუშათა პარტიაზე, არა მუშათა პოლიტიკაზე, არამედ **ლიბერალური** პუბლიცისტების ქადაგებაზე, რომლებიც ლიბერალურად იღწვიან მუშებისათვის. ჰპობენ ძველს და უწყიო არიან სამაგიეროდ თუნდაც რაიმე მოგვცენ.

საშიშროება დიდია. ფრაზებით „ახდილზე", ხვალინდელ დღეზე მუშებს ტოვებენ დღევანდელი საარჩევნო კამპანიის, დღევანდელი პარტიული ცხოვრების სრულიად გაურკვეველი და პრაქტიკული საკითხების არა მარტო ღია, არამედ **ყოველგვარ** გადაწყვეტილების გარეშე.

დღეს შეგნებული მუშები ჩაუფიქრდებიან ამ საშიშ მდგომარეობას;

P. S. (1). აუცილებლად დაჩქარებით გამომიგზავნეთ წიგნები 8 VI. 07 საარჩევნო კანონის შესახებ ან კიდევ 1910 წ. (ცნობარის ეგზემპლიარი. გარდა ამისა **კანონი** (საარჩევნო) **იურისტის** კომენტარიებით. გაიგეთ „თქვენიბთან" და დაჩქარებით გამოგზავნეთ. უამისოდ ამომრჩევლის თანამგზავრი შეუძლებელია.

...(2) მე „ზვეზდას" ისევ არარეგულარულად ვღებულობ. განმეორებით მოითხოვეთ ექსპედიციაში. მიეცით ჩემი მისამართი (ძველი). არ შეიძლება ასე უწესოდ გაგზავნა. (3) საჭირო არ არის, რომ სტატია „პლატფორმის საფუძვლები" კოლეგიაში გატარდეს, გაუშვით იგი ხელის მოწერით და ქვესათაურით (კომენტარის ცდა); კოლეგიამ **არავითარი** პლატფორმა არ უნდა „დაამტკიცოს: მხედველობაში იქონიეთ, რომ აქ საკმარისია ერთი უხეირო ნაბიჯი, რომ ყველაფერი ატყდეს. დე, კოლეგიამ თავი შეიკავოს და დუმილით აუაროს გვერდი. პლატფორმის დამტკიცება სულ სხვა ინსტანციის საქმეა. (4) მიგზავნეთ გაზეთები, ჟურნალები, წიგნები. უამისოდ უბედურებაა. (5) მომწერეთ ზუსტად, როდის გამოვა ყოველდღიური გაზეთი, რა ფორმატის იქნება და სხ. (6) **ცოცხალ საქმეს** უფრო ცოცხლად ებრძოლეთ, მაშინ გამარჯვება უზრუნველყოფილია. სხვანაირად უბედურებაა. ნუ შეუშინდებით პოლემიკას, აუცილებელია 2-3 პოლემიკური სტატია კვირაში.

---

[1] მონაკოს სამთავრო — მეტად პატარა სახელმწიფოა ხმელთა-შუაზღვის ნაპირზე, რომელსაც გარს აკრავს საფრანგეთის ტერიტორია; უმთავრესად იგი არსებობს იმ შემოსავლით, რომელსაც ღებულობს ქალაქ მონტე-კარლოს კარტის სათამაშო სახლიდან. „მონაკოს სამთავროს ენა" — კარტის მოთამაშეთა ენაა.

[2] გამოთქმა „გაშალეთ კარტი" იხმარა მარტოვმა მის სტატიაში „ვებრძოლოთ თუ არა რეაქციას", რომელიც დაიბეჭდა ლიკვიდატორულ გაზეთ „ჟივოე დელოს" მერვე ნომერში 1912 წლის 22 მარტს.

*) სიტყვები: „ახდილი", „ახდილის", „ახდილზე"—მოყვანილია აქ, როგორც ხელნაწერშია [illegible].

რედ.



ლენინის დეპეშა სტალინს

ლენინის დეპეშა ამხანაგ სტალინისადმი 1920 წლის 20 თებერვალს, ეკუთვნის დენიკინის წინააღმდეგ საბჭოთა რესპუბლიკის ბრძოლის უკანასკნელ ეტაპს.

იმ გეგმის განხორციელებამ, რომელიც შეიმუშავა ამხანაგმა სტალინმა და დაამტკიცა ლენინმა და ცენტრალურმა კომიტეტმა, გამოიწვია დენიკინის დამარცხება გადამწყვეტ ბრძოლაში ორიოლთან, 1919 წლის ოქტომბერში. დენიკინის დამარცხებულმა ჯარებმა იწყეს უკან დახევა ორ ჯგუფად: მთავარმა ჯგუფმა—ჩრდილოეთ-კავკასიისაკენ და ნაკლებმა ჯგუფმა მარჯვენა მხარის უკრაინისაკენ. მოწინააღმდეგის უკან დახევის ორ ხაზთან შეფარდებით, ჩვენი სამხრეთის ფრონტის ჯარები გაიყვნენ ორ ფრონტად: კავკასიის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტებად. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა, იმ ფრონტის, რომელსაც, პოლონეთთან ომის მოახლოებულ საფრთხესთან დაკავშირებით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, 1920 წლის თებერვალში საბოლოოდ გაანადგურეს დენიკინელთა ნაწილები, რომლებიც მათ წინაშე იხევდენ უკან, და აიღეს მთელი მარჯვენა მხარის უკრაინა. ამავე დროს დენიკინის ძირითადმა ძალებმა, რომლებსაც წითელი არმია სდევნიდა, 1920 წლის იანვრის შუა რიცხვებში დაიხიეს მდინარე დონის და მანიჩის გაღმა. ისინი შეეცადენ შეეჩერებინათ ჩვენი კავკასიის ფრონტის არმიის შეტევა და მიაღწიეს ერთგვარ ნაწილობრივ წარმატებებს. თებერვლის დამლევს—მარტის პირველ რიცხვებში წითელმა ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს დენიკინელები, რომლებმაც სასწრაფოდ იწყეს დახევა ნოვოროსიისკისაკენ.

ლენინის დეპეშა იმის შესახებ, რომ საჭიროა დაჩქარდეს დამხმარე ძალების გაგზავნა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიდან კავკასიის ფრონტზე, ეკუთვნის სწორედ იმ მომენტს, როცა მოწინააღმდეგემ როსტოვის და ნახიჩევანის რაიონში ერთგვარ წარმატებებს მიაღწია.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რევოლუციონ-სამხედრო საბჭოს წევრს ამხ. სტალინს

მოსკოვი, 20 თებერვალი 1920 წ. მდგომარეობა კავკასიის ფრონტზე სულ უფროდაუფრო სერიოზულ ხასიათს ღებულობს. დღევანდელი ვითარების მიხედვით არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ დავკარგოთ როსტოვი და ნოვოჩერკასკი. აგრეთვე შეეცადოს მტერი განავითაროს წარმატება შემდეგ ჩრდილოეთისაკენ და საფრთხე შეუქმნას დონეცის ბასეინს.

მიიღეთ განსაკუთრებული ზომები მე-42 და ლატიშთა დივიზიების გადაყვანისა და ბრძოლის უნარის გაძლიერებისათვის. იმედი მაქვს, რომ თქვენ შეაფასებთ საერთო ვითარებას, განავითარებთ მთელ თქვენს ენერგიას და მიაღწევთ სერიოზულ შედეგებს.

№ 36-შ. **ლენინი**

ამხ. სტალინის საპასუხო დეპეშა

შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ გაკეთდება ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია.

ლენინიზმის ტრიუმფი ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოფილი იყო იმით, რომ ჩვენს პარტიას წინ უძღვებოდა საუკეთესო ლენინელი — **სტალინი**, კლასობრივი ბრძოლების სტრატეგიისა და ტაქტიკის დიდი ოსტატი. აზოგადებს რა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის და საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებას, სტალინი ავითარებს და ამდიდრებს ლენინის თეორიას, გამომდინარეობს რა ქვეყნის ხელმძღვანელობის ერთიან, ღრმად მოფიქრებულ და თავიდან ბოლომდე კონკრეტული ხელმძღვანელობის ხაზიდან ამ ქვეყნის სოციალიზმში გადასვლისას. სტალინი ამ გზის თვითეულ მოსახვევში უაღრესი სიცხადით აყენებს ბრძოლის ჭეშმარიტ ლოზუნგს. რკინისებურ სიმტკიცით აღწევს მის შესრულებას. თვითეულ ეტაპზე ის შეუცდომლად სახავს ბრძოლისა და ორგანიზაციის სწორედ იმ ფორმებს, რომლებიც ყველაზე მეტად აადვილებენ მილიონიან მასების მობილიზაციას. **ლენინის** მოძღვრებამ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ჩვენ გაგვინათა ბრძოლის გზა. სტალინის ბრძნულმა და მტკიცე ხელმძღვანელობამ ჩვენ მიგვიყვანა გამარჯვებამდე.

(საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტთან არსებულ მარქს - ენგელს - ლენინის ინსტიტუტის თეზისებიდან ლენინის გარდაცვალების ათი წლისთავისათვის).

ცხრა იანვრის „სისხლიანი კვირა“-- 1905 წლის რევოლუციის დასაწყისი



ვ. ი. ლენინის უკანასკნელი არალეგალური ცხოვრება სადგურ სესტრორეცკის მახლობლად, 1917 წლის 17 ივლისს.

1905 წლის რევოლუციის შესახებ*)

ნორჩო მეგობრებო და ამხანაგებო!

დღეს თორმეტი წლის-თავია „სისხლიანი კვირისა“ რომელიც სრული უფლებით შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის რევოლუციის დასაწყისად.

მუშები ათასობით,-ამასთან არა-სოციალ - დემოკრატიული, არამედ მორწმუნე,ქვეშევრდომი ადამიანები, მღვდელ გაპონის წინამძღოლობით ქალაქის ყოველი ნაწილიდან თავს იყრიან დედაქალაქის ცენტრისაკენ, ზამთრის სასახლის მოედნისაკენ, რათა მეფეს თავისი პეტიცია გადასცენ. მუშები მიდიან ხატებით,-და მათი მაშინდელი ბელადი გაპონი წერილობით არწმუნებდა მეფეს, რომ იგი უზრუნველყოფს მის პირად უშიშროებას და თხოვს მას დაიბაროს ხალხს.

გამოიწვევენ ჯარებს. ულანები და კაზაკები დაერევიან ხალხს მკვეთი იარაღით სროლას აუტეხენ უიარაღო მუშებს, რომლებიც მუხლმოდრეკით ემუდარებიან კაზაკებს, რომ ისინი მეფესთან მიუშვან. პოლიციის მოხსენებათა მიხედვით მაშინ მოკლეს ათასზე მეტი კაცი, დაჭრეს 2 ათასზე მეტი. აუწერელი იყო მუშების აღშფოთება.

აი 1905 წლის 22 იანვრის—„სისხლიანი კვირის“ საერთო სურათი.

---

*) ლენინის მოხსენებიდან 1905 წლის რევოლუციის შესახებ „სისხლიანი კვირის“ 12 წლისთავზე.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალისაგან

მიმდინარე წელს მთელს საბჭოთა კავშირში და კერძოდ ამიერკავკასიაში იმართება 1905 წლის რევოლუციის 30 წლის იუბილე. ამასთან დაკავშირებით საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს - ენგელს - ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი ეწევა თვალსაჩინო მუშაობას.

ფილიალის 1935 წლის საწარმოო გეგმის ერთ-ერთ ძირითად მომენტს წარმოადგენს 1905-7 წლების პერიოდის საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური პარტორგანიზაციების და მასობრივ - რევოლუციური მოძრაობის ისტორიის დამუშავება. 1905 წლის რევოლუციის 30 წლის იუბილესათვის მარქს - ენგელს - ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი მოამზადებს: 1) ისტორიულ - პარტიულ დოკუმენტების კრებულს— „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905-7 წლების რევოლუციაში“; 2) იმ მასალების და დოკუმენტების კრებულს, რომელნიც აშუქებენ მუშათა და გლეხთა მოძრაობას 1905-7 წლებში და 3) 2—3 მეცნიერულ პოპულარულ ბროშურას 1905 წლის რევოლუციის ისტორიის ცალკე საკითხებზე. ამასთან ერთად მოეწყობა მთელი რიგი მოხსენებები. ფილიალს ამოცანად დასახული აქვს აგრეთვე გამოაქვეყნოს ჩვენს პერიოდულ პრესაში ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები საქართველოს და ამიერ - კავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში 1905 წელს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს - ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი,

ბათუმის მუშებს. რა გამოირკვა?

(კავკასიის კავშირის კომიტეტის მოწოდებიდან)

რევოლუციის დასაწყისი რუსეთში

ჟენევა, ოთხშაბათი 25 (12) იანვარი

უდიდესი ისტორიული ამბები ხდება რუსეთში. პროლეტარიატი აჯანყდა ცარიზმის წინააღმდეგ. პროლეტარიატი აჯანყებამდე მიიყვანა მთავრობამ ახლა არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ მთავრობა განზრახ იძლეოდა საგაფიცვო მოძრაობის შედარებით შეუფერხებელი განვითარებისა და ფართო დემონსტრაციების დაწყების საშუალებას და სურდა საქმე სამხედრო ძალის გამოყენებამდე მიეყვანა. და მიიყვანა კიდეც აქამდე! ათასობით მოკლულნი და დაჭრილნი — ასეთია 22 (9) იანვრის სისხლიანი კვირის შედეგები პეტერბურგში. ჯარმა დაამარცხა უიარაღო მუშები, ქალები და ბავშვები. ჯარმა სძლია მტერს, დახვრიტა რა მიწაზე მწოლიარე მუშები. ჩვენ მათ კარგი გაკვეთილი მივეცით!“ გამოუთქმელი ცინიზმით ლაპარაკობენ ახლა მეფის მსახურნი და მათი ევროპელი ლაქიები კონსერვატიული ბურჟუაზიიდან.

დიახ, გაკვეთილი დიდი იყო! რუსეთის პროლეტარიატი არ დაივიწყებს ამ გაკვეთილს. მუშათა კლასის ყველაზე უფრო მოუმზადებელმა. ყველაზე უფრო ჩამორჩენილმა ფენებმა, რომლებსაც გულუბრყვილოდ სჯეროდათ მეფის და გულწრფელად სურდათ მშვიდობიანად გადაეცათ „თვით მეფისათვის“ გატანჯული ხალხის თხოვნა, ყველა მათ მიიღეს გაკვეთილი სამხედრო ძალისგან, რომელსაც ხელმძღვანელობდა მეფე თუ მეფის ბიძა, დიდი მთავარი ვლადიმერი.

მუშათა კლასმა მიიღო სამოქალაქო ომის დიდი გაკვეთილი; პროლეტარიატის რევოლუციურმა აღზრდამ ერთი დღის განმავლობაში იმდენი წაიწია წინ, როგორც მას არ შეეძლო წაეწია თვიური, ყოველდღიური, დაბეჩავებული ცხოვრების თვეებისა და წლების განმავლობაში. პეტერბურგის გმირული პროლეტარიატის ლოზუნგი: „სიკვდილი ან გამარჯვება!“ ახლა გამოძახილად მოედო მთელს რუსეთში. ამბები განსაცვიფრებელი სისწრაფით ვითარდება. პეტერბურგში იზრდება საყოველთაო გაფიცვა. მთელი სამრეწველო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება დამბლადაცემულია. 23 (10) იანვარს ორშაბათს. მუშების შეტაკება ჯართან უფრო გაფართოებული ხდება. მთავრობის ყალბი ცნობების წინააღმდეგ სისხლი იღვრება დედაქალაქის მრავალ და მრავალ ნაწილში. საბრძოლველად ემზადებიან კოლპინის მუშები. პროლეტარიატი იარაღდება და აიარაღებს ხალხს. ამბობენ მუშებმა ხელთ იგდეს სესტრორეცკის იარაღის საწყობი. მუშები იძენენ რევოლვერებს, სჭედენ იარაღს თავისი ინსტრუმენტებიდან, შოულობენ ყუმბარებს თავისუფლებისათვის გააფთრებულ ბრძოლის საწარმოებლად. საყოველთაო გაფიცვა ედება პროვინციებს. მოსკოვში 10.000 კაცმა უკვე მიატოვა სამუშაო. ხვალისთვის (ხუთშაბათი 26 (13) იანვარი) დანიშნულია საყოველთაო გაფიცვა მოსკოვში. იფეთქა ამბოხებამ რიგაში. მანიფესტაციას აწყობენ მუშები ლოძში, მზადდება ვარშავის აჯანყება. ჰელსინგფორსში ხდება პროლეტარიატის დემონსტრაციები. ბაქოში, ოდესაში, კიევში, ხარკოვში, კოვნოში და ვილნოში იზრდება მუშათა მღელვარება და ფართოვდება გაფიცვა. სევასტოპოლში იწვის საზღვაო უწყების საწყობები და არსენალი და ჯარი უარს ამბობს ესროლოს აჯანყებულ მეზღვაურებს. გაფიცვაა რეველსა და სარატოვში რადომში მოხდა მუშებისა და მეთადარიგეთა შეტაკება ჯართან.

რევოლუცია ფართოვდება. მთავრობა უკვე გონებას კარგავს. სისხლიანი რეპრესიის პოლიტიკიდან იგი ცდილობს გადავიდეს ეკონომიურ დათმობებზე და თავი დააღწიოს ამ მდგომარეობას ცხრა საათის სამუშაო დღის ჩუქებით ან დაპირებით. მაგრამ სისხლიანი დღის გაკვეთილი ფუჭად ვერ ჩაივლის. პეტერბურგის აჯანყებული მუშების მოთხოვნა — დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლების საფუძველზე — უნდა გადაიქცეს ყველა გაფიცული მუშის მოთხოვნად. მთავრობის დაუყოვნებლივი დამხობა — აი ლოზუნგი, რომლითაც 9 იანვრის ხოცვა-ჟლეტას უპასუხეს იმ პეტერბურგელმა მუშებმაც კი, რომლებსაც მეფის იმედი ჰქონდათ, უპასუხეს თავიანთი ბელადის, მღვდელი გიორგი გაპონის პირით, რომელმაც ამ სისხლიანი დღის შემდეგ სთქვა: ჩვენ მეფე აღარ გვყავს. სისხლის მდინარე აშორებს მეფეს ხალხისაგან. გაუმარჯოს ბრძოლას თავისუფლებისათვის!“.

გაუმარჯოს რევოლუციურ პროლეტარიატს. ვიტყვით ჩვენ. საყოველთაო გაფიცვა ამხედრებს და რაზმავს მუშათა კლასის და ქალაქის ღარიბთა სულ უფრო-და-უფრო ფართო მასებს. ხალხის შეიარაღება ხდება რევოლუციური მომენტის ერთერთ უახლოეს ამოცანად.

მხოლოდ შეიარაღებული ხალხი შეიძლება იყოს სახალხო თავისუფლების ნამდვილი ბურჯი. და რაც უფრო ადრე მოახერხებს პროლეტარიატი შეიარაღებას, რაც უფრო მეტ ხანს გამაგრდება იგი თავის გაფიცული - რევოლუციონერის საომარ პოზიციაზე, მით უფრო მარიატი შეიარაღებას, რაც უფრო მეტი აღმოჩნდება ჯარისკაცებს შორის ისეთი ადამიანები, რომლებიც, ბოლოსდაბოლოს, შეიგნებენ, თუ რას აკეთებენ ისინი, რომლებიც დადგებიან ხალხის მხარეზე ჯალათების წინააღმდეგ, ტირანის წინააღმდეგ, უიარაღო მუშების, მათი ცოლების და ბავშვების მკვლელთა წინააღმდეგ. როგორადაც არ უნდა დამთავრდეს ახლანდელი აჯანყება თვით პეტერბურგში, ყოველ შემთხვევაში იგი გარდუვალად და აუცილებლად გადაიქცევა უფრო ფართო, უფრო შეგნებული, უფრო მომზადებული აჯანყების პირველ საფეხურად. მთავრობამ შეიძლება მოახერხოს განკითხვის დღის გადადება, მაგრამ ეს გადადება უფრო გრანდიოზულს გახდის რევოლუციური შეტევის შემდგომ ნაბიჯს. გადადებით მხოლოდ ისარგებლებს სოციალ - დემოკრატია, რათა შეამჭიდროვოს დარაზმულ მებრძოლთა რიგები და გაავრცელოს პეტერბურგის მუშების ინიციატივის ამბავი. პროლეტარიატი მიემხრობა ბრძოლას, იგი დასტოვებს ფაბრიკებს და ქარხნებს მოამზადებს თავის შეიარაღებას. ქალაქის ღარიბთა შორის, გლეხთა მილიონებს შორის, სულ უფრო-და-უფრო ფართოდ გავრცელდება თავისუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგები. რევოლუციური კომიტეტები დაარსდება თვითეულ ფაბრიკაში, ქალაქის თვითეულ რაიონში, თვითეულ მნიშვნელოვან სოფელში. აჯანყებული ხალხი დაიწყებს მეფის თვითმპყრობელობის მთავრობის ყველა და ყოველგვარი დაწესებულებათა დამხობას და მოითხოვს დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას.

მუშების და საერთოდ ყველა მოქალაქის დაუყოვნებლივ შეიარაღება, რევოლუციური ძალების მომზადება და ორგანიზაცია მთავრობის ხელისუფალთა და დაწესებულებათა მოსასპობად—აი ის პრაქტიკული საფუძველი, რომელზედაც შეუძლიათ გაერთიანდნენ და უნდა გაერთიანდნენ კიდეც საერთო იერიშისათვის ყველა და ყოველგვარი რევოლუციონერები. პროლეტარიატი ყოველთვის თავისი დამოუკიდებელი გზით, უნდა მიდიოდეს, მან არ უნდა შეასუსტოს თავისი კავშირი სოციალ - დემოკრატიულ პარტიასთან და უნდა ახსოვდეს ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან მთელი კაცობრიობის განთავისუფლების თავისი დიადი საბოლოო მიზნები. მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პროლეტარული პარტიის ეს დამოუკიდებლობა ვერასოდეს ვერ დაგვავიწყებს ჩვენ იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს საერთო რევოლუციურ შეტევას ახლანდელი რევოლუციის მომენტში. ჩვენ. სოციალ-დემოკრატებს, შეგვიძლია ვიაროთ და უნდა ვიაროთ კიდევაც ბურჟუაზიული დემოკრატიის რევოლუციონერებისაგან დამოუკიდებლად და დავიცვათ პროლეტარიატის კლასობრივი დამოუკიდებლობა, მაგრამ ჩვენ ხელიხელჩაკიდებული უნდა ვიაროთ აჯანყების დროს, ცარიზმისათვის პირდაპირი ლახვარის ჩაცემის დროს, ჯარისათვის წინააღმდეგობის გაწევის დროს, მთელი რუსეთის ხალხის წყეული მტრის ბასტილიებზე თავდასხმების დროს.

ახლა მთელი რუსეთის პროლეტარიატს უდიდესი მოუთმენლობით შეჰყურებს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი. ცარიზმის დამხობა რუსეთში, რაც გმირულად დაიწყო ჩვენმა მუშათა კლასმა, გადაიქცევა მოსახვევ პუნქტად ყველა ქვეყნის ისტორიაში, ყველა ერის ყველა მუშის საქმის გაადვილებად, ყველა სახელმწიფოში, დედამიწის ყველა კუთხეში. დაე, თვითეულ სოციალ - დემოკრატს, დაე, თვითეულ შეგნებულ მუშას ახსოვდეს, თუ საყოველთაო სახალხო ბრძოლის რა უდიდესი ამოცანები აწევს მას ახლა კისერზე. დაე, ნუ დაივიწყებს, რომ იგი წარმოადგენს მთელი გლეხობის, მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელი მასის, მთელი ხალხის საჭიროებებს და ინტერესებს ხალხის საერთო მტრის წინააღმდეგ. ახლა ყველას თვალწინ უდგას პეტერბურგის გმირი პროლეტარების მაგალითი.

გაუმარჯოს რევოლუციას!

გაუმარჯოს აჯანყებულ პროლეტარიატს!

„ვპერიოდ“ № 4. 31 (18) იანვარი 1905 წ.



უიარაღო მუშების გაჟლეტა 1905 წლის 9 (22) იანვარს პეტერბურგში ალექსანდროვის ბაღთან.



მემამულეთა დარბევა აჯანყებული გლეხების მიერ.

სამგლოვიარო სხდომები ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად

მოსკოვი, 20 იანვარი. 20 იანვარს პროლეტარული დედაქალაქის ყველა რაიონში შესდგა საკ. კ. პ. (ბ) და საკ. ა. ლ. კ. კავშირის რაიკომებისა და რაისაბჭოების სამგლოვიარო სხდომები ფაბრიკა - ქარხნების მუშა - დამკვრელებთან ერთად, მიძღვნილი ლენინის გარდაცვალებიდან 11 წლისთავისადმი. კრებებზე მომხსენებლები მოუთხრობდენ მსმენელებს, თუ როგორ მიდიოდა ქვეყანა საუკეთესო ლენინელის, სოციალისტური საზოგადოების დიდი მესაჭის — ამხ. **სტალინის** გენიალური ხელმძღვანელობით, ლენინ - სტალინის მიერ გამოჭედილი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით; გამარჯვებიდან გამარჯვებამდე ლენინური გზით.

კრებებმა მისალმებანი გაუგზავნეს ამხ. **სტალინს** და **კაგანოვიჩს**. (ადს).

მოსკოვი, 20 იანვარი. საბჭოების ქვეყანა ფართოდ მოემზადა ლენინის გარდაცვალების 11 წლის თავის აღსანიშნავად.

მეცნიერებათა სრულიად-უკრაინის აკადემიის კიევის ბიბლიოთეკა ლენინის დღეებისათვის გამოფენას აწყობს., ბიბლიოთეკამ დასაბეჭდად დაამზადა წიგნაკი „წერილები ლენინისა და ლენინისადმი“.

რევოლუციის ხარკოვის მუზეუმი აწყობს ფოტოდოკუმენტების გამოფენას, რომლებიც აშუქებენ ლენინის ცხოვრებას და მოღვაწეობას.

დონბასის (ცენტრის - სტალინოს სკოლებში ეწყობა ლენინის გარდაცვალების 11 წლის თავისათვის მიძღვნილი დილა დონბასის საქალაქო და სამადნო ბიბლიოთეკებში მოწყობილია გამოფენები, სადაც მოცემულია ვლადიმერ ილიჩის შრომები და ლიტერატურა მის შესახებ.



ყველა თბილისის მუშებს

(თბილისის კომიტეტის მოწოდებიდან)

პ. ბუტირინა

„სისხლიანი კვირა“ და მისი გამოხმაურება საქართველოში

1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში დახვრიტეს მეფესთან მიმავალი მუშების მშვიდობიანი დემონსტრაცია. ათასობით მოკლული და დაჭრილი დააგო ძირს ტყვიის სეტყვამ, რომლითაც მეფემ უპასუხა მუშების პეტიციას.

ახასიათებდა რა ამ ამბავს, როგორც „რევოლუციის დასაწყისს რუსეთში“, ლენინი (1905 წლის 12 იანვარს) წერდა:

> „პროლეტარიატი დასტოვებს ფაბრიკებს და ქარხნებს და ჩაებმება ბრძოლაში, მოიმზადებს თავისთვის იარაღს. ქალაქის ღარიბ მოსახლეობას შორის, გლეხთა მილიონებს შორის უფრო და უფრო ფართოდ გავრცელდება თავისუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგები. თვითეულ ფაბრიკაში, ქალაქის თვითეულ რაიონში, თვითეულ თვალსაჩინო სოფელში მოეწყობა რევოლუციური კომიტეტები, აჯანყებული ხალხი დაამხობს მეფის თვითმპყრობელობის ყველა და ყოველგვარ სახელმწიფო დაწესებულებას, მოითხოვს დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას“ *).

პიტერის მუშების დახვრეტის შემდეგ რუსეთში მომხდარმა ამბებმა მალე დაადასტურეს ეს წინასწარმეტყველური სიტყვები.

კიდით კიდემდე გადაუარა რუსეთს გაფიცვების და დემონსტრაციების გრიგალმა, რომელიც არყევდა მეფის ტახტს. 9 იანვარს მოკლულთა და დაჭრილთა კვნესას პროლეტარიატი გამოეხმაურა როგორც მოწოდების საყვირს, როგორც სიგნალს თვითმპყრობელობასთან ბრძოლის დაწყებისათვის. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გლეხობასთან კავშირში, იგი მძლავრი ნაბიჯით წავიდა „ხალხთა საპატიმროზე“ იერიშით, რათა ძირფესვიანად დაენგრია იგი და გზა გაეკაფა შემდგომი ბრძოლისათვის პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად.

ამიერ - კავკასიის პროლეტარიატმა გაფიცვებით და დემონსტრაციებით გამოხატა ძმური სოლიდარობა რუსეთის მუშათა კლასისადმი.

კავკასიის კავშირის კომიტეტი აწარმოებდა დაძაბულ მუშაობას გამხეცებული თვითმპყრობელობის მოქმედების წინააღმდეგ ფართო პროტესტის ორგანიზაციისათვის და მოუწოდებდა შური იძიათ დახვრეტილ მუშებისათვის.

პროკლამაციაში „დროა შური ვიძიოთ“ კავკასიის კავშირის კომიტეტი წერდა:

> „...მთავრობა ახლა მერყეობს და ნიადაგს კარგავს ფეხქვეშ... დროა მოვთხოვოთ მას პასუხი იმ ტანჯვისა და დამცირებისათვის, ადამიანის დამამცირებელ იმ ხუნდებისათვის, რომლებითაც მან დიდი ხანია რაც შეგვბორკა! დროა ბოლო მოვუღოთ მეფის მთავრობას და გავიკაფოთ გზა სოციალისტურ წყობილებისაკენ. დიახ, დროა დავამხოთ მეფის მთავრობა და ჩვენ დავამხობთ მას!... მაშ, გავსწიოთ წინ, ამხანაგებო! როცა მეფის მთავრობა მერყეობს, ჩვენი მოვალეობაა ვემზადოთ გადამწყვეტ შეტევისათვის!
>
> დროა შური ვიძიოთ“!

გაფიცვებით და საპროტესტო დემონსტრაციებით გამოეხმაურა ამიერ - კავკასიის პროლეტარიატი კავკასიის კავშირის კომიტეტის მოწოდებას.

17 იანვარს ბათომში მოეწყო რკინისგზის და ნავთსადგურის მუშების პოლიტიკური გაფიცვა, ხოლო 18-ს გაიფიცენ უკვე ბათომის ყველა საწარმოები. 18 იანვარს ტფილისში გაიფიცენ რკინისგზის სახელოსნოების მუშები, ხოლო 20 იანვარს გაფიცვამ ტფილისში უკვე საყოველთაო ხასიათი მიიღო.

23 იანვარს ტფილისში გაიმართა დემონსტრაცია, რომელიც ყაზახებთან შეტაკებით დამთავრდა. დემონსტრაციის დროს აფრიალეს წითელი დროშა და ავრცელებდნენ პროკლამაციებს.

19 იანვარს დაიწყო მღელვარება ქუთაისში, საღამოთი გაიმართა მანიფესტაცია მარსელიეზის სიმღერით

მანიფესტაცია დამთავრდა პოლიციასთან შეტაკებით და დაპატიმრებებით.

21 იანვარს ფოთში გაიფიცენ ნავთსადგურის მუშები, ხოლო 22-ს მათ შეუერთდენ ნავთსადგურის მარგანეცის მუშები და ორთქლმავლების მემანქანეები.

იმავე დღეს გაიფიცენ სამტრედიის რკინისგზის მუშები.

25 იანვარს გაიფიცენ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშები. იმავე დღეს საყოველთაო გაფიცვა დაიწყო ჭიათურაში.

გაითვალისწინა რა, რომ ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლუციაში გლეხობა იბრძოლებს პროლეტარიატის ჰეგემონიით, რომ მონარქიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში იგი წარმოადგენს პროლეტარიატის საიმედო მოკავშირეს, კავკასიის კავშირის კომიტეტმა თავის მორიგ ამოცანად დაისახა გლეხობის რევოლუციური ენერგიის გამოყენება, ყველაზე უფრო მძლავრად გამოეხმაურა საქართველოს გლეხობა, რომელიც განსაკუთრებით ძლიერ იყო ჩაჭედილი ფეოდალურ სალტეებში. სასოწარკვეთილებამდე მიყვანილი გლეხობა არაერთხელ ამხედრებულა თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

დაწყებული 1902-3 წლებიდან, სოციალ - დემოკრატია ავრცელებს თავის გავლენას სოფელზე და გლეხების გამოსვლები საქართველოში უფრო ორგანიზებულ ფორმას ღებულობს.

1903-4 წლებში მთელ რიგ სოფლების გლეხები გამოდიოდენ ლოზუნგებით „ძირს თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიას!“.

მთელი წინანდელი ბრძოლით გლეხობა მომზადებული იყო მუშათა კლასთან სოლიდარული გამოსვლისათვის, ამიტომ მუშათა გამოსვლამ (1905 წლის დასაწყისში) ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა სოფელში.

სოფლებში მოძრაობა უკვე იანვრის დამლევს დაიწყო. გლეხები იკრიბებოდენ უდიდეს მიტინგებზე. მემამულეებს და მთავრობის დაწესებულებებს ბოიკოტს უცხადებდენ, ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს ერეკებოდენ და მათ ნაცვლად ირჩევდენ თავის „ათისთავებს“ და „ასისთავებს“.

წინ მიდიოდა გურია. 5 მარტს მეფის ნაცვალი ვორონცოვ - დაშკოვი მოხსენებას გზავნიდა ცენტრში:

> „...ოზურგეთის მაზრაში და მის გარშემო მდებარე ადგილებში საქმის მდგომარეობა ღებულობს აჯანყების ხასიათს, რაც გამოიხატება იმაში, რომ აშკარად არ ემორჩილებიან ხელისუფლების წარმომადგენლებს, კლავენ მთავრობის მოხელეებს, თავად-აზნაურებს, სასულიერო პირებს და ყველა იმათ, ვინც არ თანაუგრძნობს რევოლუციურ მოძრაობას, მოსახლეობა თავისუფლდება ქვეშევრდომობის ერთგულების ფიცისაგან და ღებულობს ფიცს რევოლუციური კომიტეტის ერთგულებისადმი, ხოლო მთავრობის მოხელეები გარბიან“.

გურიის შემდეგ გამოვიდა იმერეთი, შემდეგ ქართლი და კახეთი. თავის პროკლამაციაში ქართლისა და კახეთისადმი კავკასიის კავშირის კომიტეტი სწერდა:

> „ქვეყანა ზანზარებს, ქვეყანა აწარმოებს ბრძოლას, ყველგან აზვირთდენ თავისუფლების მრისხანე ტალღები და ნუთუ თქვენ—ქართლ-კახეთის გლეხებო, ამ დროს უნდა იძინოთ და ატაროთ თქვენს კისერზე მონობის სამარცხვინო უღელი“?.

და აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობა გამოეხმაურა ამ მოწოდებას.

მარტის პირველი რიცხვებიდან დაწყებული, მოძრაობა მოედო გორის მაზრას და მან განსაკუთრებით ძლიერი ხასიათი მიიღო სამხრეთოსეთში.

ტფილისის გუბერნატორის მიერ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის კანცელარიაში გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებაში (15 მარტს) ვკითხულობთ:

> „12 მარტიდან დაწყებული, გორის მაზრის გლეხებს შორის მოძრაობა სულ უფრო და უფრო სახიფათო ხასიათს ღებულობს.
>
> გორის მაზრის დასავლეთ და საშუალო ნაწილის ოსები მთიანი სოფლებიდან ჩამოდიან დაბლობებზე და დიდი ჯგუფებით დაძრწიან მემამულეთა კარ-მიდამოებში, აძლიერებენ რა უწესრიგობას ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად... სოფლის ხელისუფალნი არ მოქმედებენ, ვინაიდან ბრბომ გადააყენა ისინი თანამდებობებიდან... უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში მოძრაობა იმდენად გართულდა, რომ გლეხები კომისიის ჩასვლის დროს უყენებდენ მას განსაკუთრებით პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებს და ბოლოს არც კი იკრიბებოდენ კომისიის მოწვევით“.

მალე ძლიერმა მოძრაობამ იფეთქა დუშეთის მაზრაშიაც. გლეხთა მოძრაობის მძლავრმა გაქანებამ სასტიკად შეაშფოთა მთავრობა. მთავრობა, რომელიც გრძნობდა, რომ შეუძლებელი იყო ფართო მასობრივი მოძრაობის ძალით ჩაქრობა, შეეცადა ჩამოეშორებია გლეხების ყურადღება რევოლუციური გამოსვლებისაგან „მშვიდობიანი“ მოლაპარაკების გზით. მოძრაობის მიზეზების გამორკვევის საბაბით მთავრობამ დასავლეთ საქართველოში გაგზავნა სულთან-კრიმ-გირეის კომისია. ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — ვეიდენ-ბაუმის კომისია.

23 თებერვლიდან სულთან-კრიმ-გირეიმ ჩამოიარა გურიის ყველა სოფლები და მასიურ მიტინგებზე მოისმინა გლეხთა მოთხოვნები.

ამ მიტინგებმა საშუალება მისცეს გლეხებს აშკარად გამოსულიყვნენ რევოლუციური მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებით.

მოთხოვნას — გაეცათ „არასასიამოვნო პირები“—გლეხებმა უპასუხეს იმით. რომ მოითხოვეს ხუცების, სოფლის მწერლების და მამასახლისების გაძევება

ყველა სოფელში გლეხები აყენებდენ პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებს და სოციალ - დემოკრატიული პროგრამის პუნქტებს.

გლეხობის დარაზმული მასის წინაშე მთავრობის კომისია უძლური აღმოჩნდა და სულთან - კრიმ-გირეი მალე უკანვე იქნა გაწვეული. ასეთივე ბედი ეწვია ვეიდენბაუმის კომისიას აღმოსავლეთ საქართველოში. უკვე 18 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა და ბათომის ოლქის კინტრიშის უბანი გამოცხადებულ იქნა სამხედრო მდგომარეობაზე.

სამხედრო მდგომარეობა მალე გავრცელდა სხვა რაიონებზედაც. სოფლებში გზავნიდენ დიდძალ ჯარს, უმთავრესად ყაზახთა ნაწილებს.

კრიმ - გირეის ადგილი დაიკავა მრისხანე დამამშვიდებელმა ალიხანოვ - ავარსკიმ. მთავრობის კომისიების ტკბილი სიტყვები შეიცვალა ტყვიებით და ყაზახთა მათრახებით.

დაიწყო ეგზეკუციები.

გლეხთა აჯანყების საშემოდგომო ტალღა საქართველოში დროებით [illegible], მაგრამ გლეხობას არ დაუყრია იარაღი, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით იგი ემზადებოდა ახალი გადამწყვეტი ბრძოლისათვის, დამპალი მონარქიული წყობილების წინააღმდეგ საბოლოო იერიშისათვის.

კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელსაც ამხ. სტალინი ხელმძღვანელობდა, ითვალისწინებდა რა გლეხობის რევოლუციური ენერგიის უდიდეს მნიშვნელობას რევოლუციურ - დემოკრატიული ამოცანების გადაჭრის საქმეში, დაძაბულ მუშაობას აწარმოებდა სასოფლო - სამეურნეო პროლეტარიატის რევოლუციური კომიტეტების და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესაქმნელად.

სოფლებში იქმნებოდა პროპაგანდის სპეციალური წრეები, ვრცელდებოდა პროკლამაციები, რომლებშიაც მოთავსებული იყო სოციალ-დემოკრატიული პროგრამა, ფართოდ ვრცელდებოდა ლენინის ბროშურა „სოფლის ღარიბებისადმი“ და მთელი რიგი სხვა ბროშურები, რომლებიც აშუქებდენ რევოლუციური პროლეტარიატის მიზნებს და ამოცანებს.

რევოლუციურ გლეხთა მასების დაპყრობის ერთერთ საშუალებას წარმოადგენდა დისპუტები, რომლებშიაც ბოლშევიკები მკაცრად აკრიტიკებდენ მენშევიკების შეთანხმებლობას და კუდში ჩანჩალს და მოუწოდებდენ გლეხებს არა თავდაცვითი, არამედ შეტევითი ომის მომზადებისაკენ, აშკარა შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

გლეხთა მასებისადმი ორგანიზებულ ხელმძღვანელობას კავკასიის კავშირის კომიტეტი ანხორციელებდა გურიის და იმერეთ - სამეგრელოს კომიტეტების მეშვეობით. რომლებმაც ადგილებზე შექმნეს სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაციების მთელი ქსელი.

სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაციების პარალელურად ადგილებზე იქმნებოდა გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც მუშაობდენ სოციალ - დემოკრატიული კომიტეტების ხელმძღვანელობით.

გლეხთა რევოლუციურ - დემოკრატიულ ორგანიზაციების სქემა მდგომარეობდა შემდეგში:

პირველადი ორგანიზაცია—ათი კაცისაგან შემდგარი წრე ირჩევდა „ათისთავს“, სოფლის „ათისთავების“ ჯგუფები ირჩევენ „ასისთავებს“, „ასისთავები“ ირჩევენ „ათასისთავებს“, „ათასისთავები“ ქმნიან რაიონის რევოლუციურ-გლეხურ კომიტეტს.

პარტიის წევრები შედიოდენ გლეხთა კომიტეტებში და ანხორციელებდენ იქ პარტიულ ხელმძღვანელობას.

კავკასიის კავშირის კომიტეტის გამოცდილება რევოლუციური გლეხთა მასების ორგანიზაციის და გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელობის საქმეში მოიწონა პარტიის მესამე ბოლშევიკურმა ყრილობამ (რომელიც 1905 წლის აპრილში მოხდა).

ყრილობის რეზოლუციაში, რომელიც წარმოდგენილ იქნა ლენინის მიერ ამიერ - კავკასიის ამბების შესახებ, ვკითხულობთ:

> „...რ.ს.-დ.მ.პ. მესამე ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უგზავნის კავკასიის გმირულ პროლეტარიატს და გლეხობას და ავალებს პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს მიიღონ ენერგიული ზომები, რათა რაც შეიძლება ფართოდ გავრცელდეს ცნობები კავკასიის საქმეების მდგომარეობის შესახებ ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, წრეობრივი საუბრების და სხვ. გზით, აგრეთვე თავის დროზე აღმოუჩინონ დახმარება კავკასიას მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით“.

30 წლის წინათ, საქართველოს გლეხობა, პროლეტარიატის ჰეგემონიით, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდენ ბოლშევიკები ამხ. სტალინის მეთაურობით, გადაჭრით იბრძოდა დესპოტიზმის და ფეოდალურ - ბატონყმური მონობის წინააღმდეგ.

მუშათა კლასთან კავშირმა გლეხობას მოუტანა არა მარტო განთავისუფლება ბატონ - ყმობის მონური ხუნდებისაგან, არამედ უზრუნველყო პირობები ახალი ცხოვრების ასაგებად სოციალისტურ საფუძველზე.

აღნიშნავენ რა 1905 წლის რევოლუციის 30 წლისთავს, სოციალისტური მინდვრების მშრომელები, რომლებიც მუხლს იყრიან რევოლუციურ ბრძოლაში დაღუპული გმირების წინაშე, კიდევ უფრო მტკიცე ნაბიჯით და გაბედულად გასწევენ წინ დიდი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ამხ. სტალინის მეთაურობით

---

*) ლენინი, ტ. VII, გვ. გვ. 80—81.

ვ. ი. ლენინი მოღალატე ზინოვიევის და კამენევის შესახებ 1917 წლის ოქტომბრის დღეებში

ლენინის წერილიდან ბოლშევიკთა პარტიის წევრებისადმი

ამხანაგებო! მე ჯერ კიდევ არ მქონია საშუალება მიმეღო ოთხშაბათის 31 (18) ოქტომბრის, პიტერის გაზეთები. როდესაც ტელეფონით გადმომცეს არაპარტიულ გაზეთ „ნოვაია ჟიზნ"-ში კამენევისა და ზინოვიევის გამოსვლის ტექსტი, მე ეს ვერ დავიჯერე. მაგრამ ახლა ეჭვები უკვე შეუძლებელია და იძულებული ვარ ვისარგებლო შემთხვევით, რათა ეს წერილი პარტიის წევრებს მივაწოდო ხუთშაბათ საღამოსთვის ან პარასკევს დილისათვის, ვინაიდან ამნაირი გაუგონარი შტრეიკბრეხერობის ფაქტის წინაშე გაჩუმება დანაშაულობა იქნებოდა.

რაც უფრო სერიოზულია პრაქტიკული საკითხი, რაც უფრო პასუხისმგებელი და „გამოჩენილი" არიან შტრეიკბრეხერობის ჩამდენი პირები, მით უფრო საშიშია იგი, მით უფრო დაუნდობლად უნდა გავაძევოთ შტრეიკბრეხერები, მით უფრო მიუტევებელია შტრეიკბრეხერის თუნდაც წარსული „დამსახურების" გამო მერყეობა.

აბა ჩაუკვირდით! პარტიულმა წრეებმა იციან, რომ პარტია უკვე სექტემბრიდან იხილავს აჯანყების საკითხს. არც ერთი ზემოხსენებული პირის წერილისა ან ფურცლის შესახებ არავის არაფერი სმენია! ახლა კი, შეიძლება ითქვას, საბჭოების ყრილობის წინადღით, ორი გამოჩენილი ბოლშევიკი გამოდიან უმრავლესობის წინააღმდეგ და, ცხადია, წინააღმდეგ ცენტრალური კომიტეტისა. ეს აშკარად როდია ნათქვამი, და ეს საქმისათვის უფრო მავნებელია, ვინაიდან მიკიბ-მოკიბული ლაპარაკი ყველაზე უფრო საშიშია.

კამენევის და ზინოვიევის განცხადების ტექსტიდან სავსებით ცხადია, რომ მათ გაილაშქრეს ც. კ-ის წინააღმდეგ, ვინაიდან ამის გარეშე მათი განცხადება უაზროა, მაგრამ განცხადებაში ნათქვამი არაა, თუ ც. კ-ის რომელი დადგენილება მიაჩნიათ მათ სადავოდ.

რატომ?

ცხადია იმიტომ, რომ ეს დადგენილება ც. კ-ის არ გამოუქვეყნებია. მერე რა გამოდის?

* * *

უმნიშვნელოვანეს საბრძოლო საკითხის შესახებ 2 ნოემბერს (20 ოქტომბრის) კრიტიკული დღის წინ, ორი „გამოჩენილი ბოლშევიკი" არა პარტიულ გაზეთში და ამასთანავე ისეთ გაზეთში, რომელიც ამ საკითხში მუშათა პარტიის წინააღმდეგ ბურჟუაზიასთან ხელიხელჩაკიდებული მიდის, სწორედ ამნაირ გაზეთში ილაშქრებენ პარტიის ცენტრის გამოუქვეყნებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ!

ეს ხომ ათასჯერ უფრო მუხანათურია, მილიონჯერ უფრო მავნებელია; თუნდაც 1906—1907 წ. წ. უპარტიო გაზეთებში პლეხანოვის ყველა იმ გამოსვლაზე, რომელიც ასე მკაცრად დაგმო პარტიამ! მაშინ საქმე ხომ მხოლოდ არჩევნებს ეხებოდა, ახლა კი საქმე ეხება ძალა-უფლების დაპყრობისათვის აჯანყებას!

ვ. ი. ლენინი სიტყვას ამბობს რუპორთან გრამოფონის ფირფიტაზე ჩასაწერად.

* * *

და ასეთი საკითხის შესახებ, ცენტრის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სადაოდ გამოცხადება როძიანკოებისა და კერენსკების წინაშე უპარტიო გაზეთში ამ ცენტრის გამოუქვეყნებლი გადაწყვეტილებისა, — შეიძლება განა ამაზე მეტი მოღალატური, ამაზე მეტი შტრეიკბრეხერული საქციელის წარმოდგენა?

მე სამარცხვინოდ მივიჩნევდი ჩემი თავისათვის, რომ ამ ყოფილი ამხანაგებისადმი წარსული სიახლოვის გამო მათ დაგმობაში მერყეობა გამომეჩინა, მე პირდაპირ ვაცხადებ, რომ ორივე ისინი ამხანაგებად აღარ მიმაჩნია და ყოველივე ძალღონით ვიბრძოლებ ც. კ-შიც და ყრილობაზედაც პარტიიდან ორივის გამორიცხვად.

ვინაიდან მუშათა პარტია, რომელსაც ცხოვრება ხშირად აყენებს აჯანყების პირისპირ, ვერ შესძლებს ამ ძნელი ამოცანის შესრულებას, თუ კი ცენტრის გამოუქვეყნებელ დადგენილებებს, მათი მიღების შემდეგ, უპარტიო პრესაში სადავოდ გადააქცევენ და მებრძოლთა რიგებში რყევასა და არევ-დარევას შეიტანენ.

დეე ბბ. ზინოვიევმა და კამენევმა დაარსონ საკუთარი პარტია რამდენიმე ათეული გზააბნეული ადამიანის ან დამფუძნებელი კრების კანდიდატებისაგან. მუშები ასეთ პარტიაში არ შევლენ, ვინაიდან მისი უპირველესი ლოზუნგი იქნება:

„ცეკისტებს, რომელნიც დამარცხდებიან ც. კ. სხდომაზე გადამწყვეტი ბრძოლის საკითხში, ნება ეძლევათ გამოვიდნენ უპარტიო პრესაში და პარტიის გამოუქვეყნებელი დადგენილებების წინააღმდეგ ილაშქრონ".

დეე შეადგინონ მათ ასეთი პარტია: ჩვენი ბოლშევიკური მუშათა პარტია ამით მხოლოდ მოიგებს.

როდესაც ყველა დოკუმენტი გამოქვეყნდება, ზინოვიევის და კამენევის შტრეიკბრეხერობა უფრო ნათელი გახდება. ახლა კი დეე მუშათა წინაშე დადგეს საკითხი:

„ვთქვათ, სრულიად - რუსეთის პროფესიული კავშირის გამგეობამ გადასწყვიტა, ერთი თვის მსჯელობის შემდეგ და 80 პროცენტზე მეტი უმრავლესობით, რომ საჭიროა გაფიცვის მომზადება, მაგრამ არც ვადა, არც სხვა რაიმე ამის შესახებ ჯერ არ იქნეს გამოქვეყნებული. ვთქვათ, ორი წევრი ამოეფარა საერთოდ „განსაკუთრებულ აზრს" და გადაწყვეტილების შემდეგ დაიწყეს არა მარტო წერილების წერა ადგილობრივ ჯგუფებისადმი — გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ, არამედ დაუშვეს კიდეც თავისი წერილების გამოქვეყნება არა-პარტიულ გაზეთებში. დაუშვათ ბოლოს, რომ თვითონვე ისინი დაესხნენ თავს არაპარტიულ გაზეთებში გადაწყვეტილებას, თუმცა იგი ჯერ არ გამოუქვეყნებიათ, და კაპიტალისტების წინაშე დაიწყეს გაფიცვის კიცხვა.

საკითხავია, შეყოყმანდებიან განა მუშები, რომ ასეთი შტრეიკბრეხერები მათი წრიდან გამორიცხონ"?....

ძნელი დროა. მძიმე ამოცანაა. მძიმე ღალატია.

მიუხედავად ამისა ამოცანა მაინც გადაწყვეტილი იქნება, მუშები დარაზმდებიან, გლეხთა აჯანყება და ფრონტზე ჯარისკაცთა უკიდურესი მოუთმენლობა თავისას გაიტანს! მჭიდროდ დავრაზმოთ რიგები, — პროლეტარიატმა უნდა გაიმარჯვოს!

1917 წ. 31 (18) ოქტომბერი.

წითელრაზმელები — აჯანყებული გლეხები საქართველოში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ში

ხე ტყის დამზადების და ხე-ტყის დაცურების დარგში სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაობის დეფექტების და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

განიხილეს რა საკითხი ხე-ტყის დამზადების და ხე-ტყის დაცურების დარგში სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ, ხე-ტყის დამმუშავებელ მრეწველობაში დიდძალი თანხების დაბანდების მიუხედავად, ხე-ტყის დამზადების წლიური გეგმა 1934 წელს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა შეასრულა დამზადების მხრივ 95 პროც., ხოლო ხე-ტყის გამოზიდვის მხრივ — 85 პროცენტით (აქედან მექანიზებულ და რაციონალიზებულ გზებით — 60 პროც.). ხე-ტყის დაცურების პროგრამა შესრულებულია 93 პროცენტით.

ცალკეული ტრესტების მიერ ხე-ტყის დამზადების დამაკმაყოფილებლად შესრულებასთან ერთად (ჩრდილოეთის სატყეო ტრესტი — 120 პროც. დამზადების მხრივ, 98 პროც. გამოზიდვის მხრივ; ლენინგრადის სატყეო სამრეწველო ტრესტი — 113 პროც. დამზადების მხრივ, 98 პროც. გამოზიდვის მხრივ; ბელორუსიის სატყეო ტრესტი — 109 პროც. დამზადების მხრივ, 99,7 პროც. გამოზიდვის მხრივ, კარელიის სატყეო ტრესტი — 111 პროც. დამზადების მხრივ, 99 პროც. გამოზიდვის მხრივ; მოსკოვის სატყეო ტრესტი — 109,7 პროც. დამზადების მხრივ, 99,9 პროც. გამოზიდვის მხრივ), სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ შემდეგი ტრესტები, რომლებმაც ჩაშალეს სახალხო კომისარიატის პროგრამა ხე-ტყის გამოზიდვის ხაზით: სვერდლოვსკის სატყეო მრეწველობის ტრესტი (მმართველი ამხ. ხლიგინი) — გამოზიდვის წლიური გეგმა შეასრულა 60 პროც., ხოლო მექანიზებული გზებით — 47 პროცენტით;

ურალ-დასავლეთის სატყეო მრეწველობის ტრესტი (მმართველი ამხ. ბიკოვსკი)— 70 პროც., ხოლო მექანიზებულ გზებით — 52 პროცენტით;

ნოვოსიბირსკის სატყეო მრეწველობის ტრესტი (მმართველი ამხ. ბორდაჩევსკი) — 67 პროც., ხოლო მექანიზებული გზებით— 56 პროცენტით;

ურალის სატყეო მრეწველობის ტრესტი (მმართველი ამხ. ნეჩაევი) — 79 პროც., ხოლო მექანიზებულ გზებით—55 პროცენტით;

საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტი (მმართველი ამხ. ვასილიევი) —52 პროც., ხოლო მექანიზებული გზებით —48 პროცენტით.

პროგრამის შეუსრულებლობასთან ერთად, სრულიად არადამაკმაყოფილებელია სატყეო მრეწველობის ტრესტების ფინანსიური მეურნეობა. თანხების დიდი გადახარჯვა, განსაკუთრებით ზედნადები ხარჯების ნაწილში, ზარალი ხე-ტყის დამზადების და დაცურების მხრივ, რის გამო ადგილი აქვს ხელფასის გაცემის დაუშვებელ დაგვიანებას და სამეურნეო ანგარიშის დარღვევას.

ხე-ტყის დამზადების და ხე-ტყის გამოზიდვის ჩამორჩენის მთავარ მიზეზს წარმოადგენს:

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის და მის ორგანოების მიერ წარმოებაში მუშა-ხელის მიზიდვის და დამაგრების სრულიად არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, ფორმალური დამოკიდებულება კოლმეურნეობებთან და ერთპიროვნულ მეურნეობებთან ხე-ტყის გამოზიდვის შესახებ ხელშეკრულებათა დადებისადმი. მუშაკთა მუშაობის ცუდი ორგანიზაცია და მუდმივი ოპერატიული კონტროლის უქონლობა ძირითადი საწარმოო რგოლების (სატყეო სამრეწველო მეურნეობების საჭიდო პუნქტების) მუშაობისადმი. ჩამორჩენის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზს წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და მისმა ადგილობრივმა ხე-ტყის დამამზადებელმა ორგანოებმა ვერ შეათვისეს ტყეში სამუშაოების მექანიზაციის მნიშვნელობა.

მიუხედავად მთავრობის მთელი რიგი გადაწყვეტილებებისა ხე-ტყის დამზადების და დაცურების მექანიზაციის შესახებ, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები, იმის ნაცვლად, რომ ეწარმოებინათ ბრძოლა პარტიისა და მთავრობის მიერ მექანიზაციის საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, არსებული მოწყობილობის მთლიანად ათვისებისა და დაცვისათვის. მთავრობის მიერ გაცემული მექანიზმების და მოწყობილობის თავის დროზე მიღებისათვის, დღემდე ეწეოდნენ დაუშვებელ დისკუსიას მექანიზაციის შესახებ. ხე-ტყის დასამზადებელ პუნქტებში არსებულ მექანიზმებს უმეტეს შემთხვევაში განსაკუთრებით ცუდად იყენებენ. განსაკუთრებით ცუდად იყენებენ ტრაქტორებს ჩრდილოეთის, სვერდლოვსკის და აღმოსავლეთ-ციმბირის სატყეო მრეწველობის ტრესტებში, რომლებშიც ადგილი ჰქონდა მექანიზმების ავარიის მრავალ შემთხვევას; ტრაქტორების არსებულ პარკს ხე-ტყის გამოზიდვის საუკეთესო პერიოდებში იყენებდნენ: სვერდლოვსკის სატყეო მრეწველობის ტრესტში 40 პროცენტამდე, აღმოსავლეთ-ციმბირის სატყეო მრეწველობის ტრესტში — დაახლოებით 45 პროცენტამდე და ჩრდილოეთის სატყეო მრეწველობის ტრესტში — არაუმეტეს 63 პროცენტისა. დაზიანებული ორთქლმავლების რიცხვი ცალკეულ უბნებზე 40 პროცენტამდე აღწევდა. ამავე დროს კი ცალკეულ საუკეთესო ტრესტებში, როგორც, მაგალითად, ლენინგრადის სატყეო მრეწველობის ტრესტში, იმავე პირობებში უკვე მიღწეულია ერთგვარი წარმატებანი მექანიზმების ათვისების და ხე-ტყის მექანიზებული გამოზიდვის გადიდების საქმეში (ამ ტრესტისათვის დაწესებული მექანიზებული გამოზიდვის გეგმა 1934 წლის პირველ ნახევარში გადაჭარბებით შესრულდა, აგრეთვე გადაჭარბებით შესრულდა ტრაქტორ-მატარებელზე დატვირთვის ნორმები, დაწესებულ გეგმასთან შედარებით).

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის, მისი მთავარი სამმართველოების და ტრესტების მხრით მექანიზაციისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის უქონლობის შედეგად, მექანიზებული და რაციონალიზებული გზებით ხე-ტყის გამოზიდვის გეგმების შესრულება 1934 წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში დაუშვებელ დაბალ დონეზე დგას (წლიური გეგმის 49 პროც., საერთო გამოზიდვიდან მექანიზებული გამოზიდვის 4,5 პროც., გეგმით გათვალისწინებულ 8,6 პროც. ნაცვლად, რაციონალიზებული გამოზიდვის 15,3 პროც., გეგმით გათვალისწინებულ 19,8 პროცენტის ნაცვლად).

იმის გამო, რომ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ძირეული ხე-ტყის დამამზადებელი ორგანოები კანცელარულ-ფორმალურად ეკიდებოდნენ კოლმეურნეობებთან დასადებ ხელშეკრულებებს ხე-ტყის გამოსაზიდად საჭირო მუშა-ხელის და საჭაპანო ძალის მიწოდების შესახებ, არ აწარმოებდნენ ცალკეულ კოლმეურნეობების შესაძლებლობათა აღრიცხვას, აგრეთვე იმის გამო, რომ ადგილი ჰქონდა გათანაბრებას კოლმეურნეობების მიმართ მათ მიერ ნაკისრებ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების დროს, ხე-ტყის გამოზიდვა უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ძალთა განსაკუთრებული დაძაბვით და არა ხე-ტყის დამამზადებელი ორგანოების ორგანიული გეგმაშეწონილი მუშაობით.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების მიერ მექანიზაციის გადამწყვეტი მნიშვნელობის შეუფასებლობის გამო, არ არის ჩატარებული მექანიზაციის სათანადო ორგანიზაციულ - ტექნიკური მომზადება, ძალზე სუსტია კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, არ არის შექმნილი სათანადო მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები მექანიზმებზე მომუშავე კვალიფიციურ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა არსებული კადრების შენარჩუნებისათვის. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლებიც სრულიად დაუშვებლად სთვლიან ასეთ დამოკიდებულებას ხე-ტყის გამოზიდვისადმი და განსაკუთრებით ამ სამუშაოების მექანიზაციისადმი, მიუთითეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს და ხე-ტყის დამამზადებელ ყველა ორგანოს, რომ ხე-ტყის დამზადების და გამოზიდვის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად საჭიროა აღმოიფხვრას ის დეფექტები, რომლებსაც ადგილი აქვს ხე-ტყის დამზადებაზე მუშახელის მიზიდვის და შენარჩუნების საქმეში და, უწინარეს ყოვლისა, დაძლეულ იქნას მექანიზაციის საქმისათვის წინააღმდეგობის გაწევა იმათ მხრით, ვისაც არ ესმის, რომ მერქანზე გაზრდილი მოთხოვნილების და მუშა-ხელის ნაკლებობის დროს ძველი, დრომოჭმული მეთოდებით მუშაობა წარმოადგენს რეაქციონურ მუშაობას, რაც ხელს უშლის სოციალისტური მეურნეობის განვითარებას.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიუთითეს ხე-ტყის დამამზადებელი რაიონების ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, რომ მათი მხრით არ არის საკმაო: ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკის შემოწმება იმ ნაწილში, რომელიც ეხება მათ ურთიერთობას კოლმეურნეობებთან, მუშაობის სწორი ორგანიზაციის კონტროლი, ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ იმ უდიდეს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების კონტროლი, რომლებსაც მთავრობა აძლევდა და ახლაც აძლევს ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებს.

იმ მიზნით, რომ გადაჭრით აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის და მისი ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობაში, განსაკუთრებით მექანიზაციის დარგში, და უზრუნველყოფილ იქნას, მექანიზაციის საფუძველზე, ხე-ტყის დამზადების და ხე-ტყის გამოზიდვის გეგმის წარმატებით შესრულება, **სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა** დაადგინეს ჩატარდეს მთელი რიგი ღონისძიებანი:

იმის გამო, რომ საჭიროა მთლიანად იქნას უზრუნველყოფილი ხე-ტყის პროდუქციის გამოზიდვის 1935 წლისათვის დაწესებული გეგმის შესრულება, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით დააწესეს ხე-ტყის გამოზიდვის მოცულობა მექანიზებული და რაციონალიზებული გზებით 1935 წელს 28 მილიონი კუბიკური მეტრის ოდენობით იმ დროს, როცა გამოზიდვის მთელი წლიური მოცულობა უდრის 107,15 მილიონ კუბიკურ მეტრს (გეგმის 21 პროც.), აქედან პირველ კვარტალში 17 მილიონი კუბიკური მეტრი (მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაში 4.400 ათასი კუბ. მეტრი, აქედან პირველ კვარტალში 3.600 ათასი კუბმეტრი); ლენინგრადის ოლქში—8 მილიონი კუბმეტრი, აქედან პირველ კვარტალში 1.850 ათასი კუბმეტრი;

კარელიის ასს რესპუბლიკაში —1.100 ათასი კუბმეტრი, აქედან პირველ კვარტალში 700 ათასი კუბმეტრი.

გორკის და კიროვის მხარეებში 2.800 ათასი კუბმეტრი, აქედან პირველ კვარტალში 1,800 ათასი კუბმეტრი.

სვერდლოვსკის ოლქში 3.340 ათასი კუბმეტრი, აქედან პირველ კვარტალში 2.200 კუბმეტრი.

დასავლეთ-ციმბირის მხარეში—1.500 ათასი კუბმეტრი (აქედან პირველ კვარტალში 1 მილიონი კუბმეტრი).

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი ვალდებულია მექანიზებული და რაციონალიზებული გზებით ხე-ტყის გამოზიდვის ხვედრითი წონა აიყვანოს მთელი გამოზიდვის გეგმის 40 პროცენტამდე მაინც.

იმ მიზნით, რომ დამთავრდეს ხე-ტყის გამოზიდვა საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი ვალდებულია დამთავროს ხე-ტყის გამოზიდვის 1935 წლის პირველი კვარტალის პროგრამის შესრულება შემდეგ ვადებში:

ჩრდილოეთის მხარეში, კარელიაში, ლენინგრადის ოლქის. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთ და დასავლეთ ციმბირში, ურალში და გორკის მხარის ჩრდილოეთ რაიონებში —1935 წლის 1 აპრილისათვის; ივანოვოს და მოსკოვის ოლქებში, ლენინგრადის ოლქის და გორკის მხარის დანარჩენ ნაწილებში 20 მარტისათვის; ბელორუსიაში, დასავლეთის ოლქში და ბაშკირეთში—10 მარტისათვის; უკრაინის სამხრეთ რაიონებში, ჩრდილოეთ-კავკასიაში და დანარჩენ რაიონებში—1935 წლის 1 მარტისათვის. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა 15 დღის ვადაში უნდა დააწესოს, საოლქო-სამხარეო აღმასკომებთან შეთანხმებით, ცალკეულ რაიონებისა და სატყეო—სამრეწველო მეურნეობებისათვის გეგმების შესრულების დიფერენცირებული ვადები.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, კოლმეურნეობებს და სატყეო-სამრეწველო მეურნეობებს, რომლებიც ვადამდე შეასრულებენ სატყეო სამუშაოების გეგმებს სეზონურ ხელშეკრულებათა მიხედვით (მე-4 და პირველი კვარტალების გეგმა), ნება დაერთო თვიური და საკვარტალო გეგმების გადაჭარბებით შესრულება ჩაეთვალოთ შემდგომი თვის ან კვარტალის გეგმის შესრულების ანგარიშში.

საკვარტალო გეგმების გადაჭარბებით შესრულების აღრიცხვის და ანგარიშში გამოხატვის წესის დადგენა დაევალა სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად.

სახელმწიფო ბანკს და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცათ შემოიღონ სატყეო-სამრეწველო მეურნეობების და ტრესტების დაფინანსების ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფს იმ სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა შეუფერხებელ დაფინანსებას, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ როგორც ხე-ტყის დამზადების, ისე გამოზიდვის გეგმას.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი ვალდებულია 1935 წელს პირველ რიგში, დაამთავროს დამატებითი მოწყობა და მშენებლობა ხე-ტყის გამოსაზიდი დაწყებული მექანიზებული გზებისა და სავსებით აითვისოს ისინი; ამისათვის მან 1935 წელს უნდა ააშენოს ფართოლიანდაგიანი რკინიგზა 194 კილომეტრის მანძილზე, ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზა—200 კილომეტრი, სატრაქტორო გზები—240 კილომეტრი, დანარჩენი მექანიზებული გზები—108 კილომეტრი.

ამას გარდა, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა 1935 წელს უნდა ააშენოს 444 კილომეტრი ახალი სატრაქტორო გზა და 6 ათასი კილომეტრი ახალი ცხენ-ყინულის გზა. მოსათავებელი გზების და ახალი მექანიზებული და რაციონალიზებული გზების საერთო მანძილიდან ჩრდილოეთ კავკასიაში აშენებულ უნდა იქნას მექანიზებული გზები 228 კილომეტრი და რაციონალიზებული გზები 850 კილომეტრი, ლენინგრადის ოლქში—მექანიზებული 150 და რაციონალიზებული 500 კილომეტრი; კარელიის ასს რესპუბლიკაში—26 და 400 კილომეტრი; გორკის და კიროვის მხარეებში—140 და 500 კილომეტრი, სვერდლოვსკის ოლქში —112 და 500 კილომეტრი; დასავლეთ ციმბირის მხარეში—50 და 200 კილომეტრი.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისთვის სატყეო ტრანსპორტის მექანიზაციის და რაციონალიზაციის 1935 წლისათვის ნავარაუდევ ზრდასთან დაკავშირებით, 1935 წლისთვის ხე-ტყის გამოზიდვაზე მომუშავე თითო მუშის საშუალო წლიური გამომუშავება დაწესებულია 591 კუბმეტრის რაოდენობით იმ დროს, როცა 1934 წელს ერთი მუშის ფაქტიური გამომუშავება უდრიდა 300 კუბმეტრს. ამასთან შეფარდებით, ხე-ტყის გამოზიდვაზე დაბანდებულ მუშათა საშუალო წლიური რიცხვი სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში 1935 წლისათვის განსაზღვრულია 181 ათასი კაცით (19 ათასი კაცით ნაკლები, ვიდრე საჭირო იქნებოდა სატყეო ტრანსპორტის დამატებითი მექანიზაციის ჩაუტარებლად). 1935 წლის პირველი კვარტალისათვის ხე-ტყის გამოზიდვაზე მუშათა საშუალო საკვარტალო რიცხვი სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში განსაზღვრულია 476,7 ათასი კაცით (67 ათასი კაცით ნაკლები, ვიდრე საჭირო იქნებოდა დამატებითი მექანიზაციის ჩაუტარებლად).

ხე-ტყის გამოზიდვაზე მომუშავე ერთი ცხენის საშუალო წლიური გამომუშავება (ნაგულისხმევია გამოზიდვის მოცულობა 107,15 მილიონი კუბმეტრის ოდენობით) —სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში, 1934 წლის 164 კუბმეტრის ნაცვლად, განსაზღვრულია 629 კუბმეტრი. ამასთან შეფარდებით ხე-ტყის გამოზიდვაზე მომუშავე ცხენების საშუალო წლიური რიცხვი სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში 1935 წლისათვის განსაზღვრულია 170,1 ათასით (19,7 ათასით ნაკლები, ვიდრე საჭირო იქნებოდა სატყეო ტრანსპორტის დამატებითი მექანიზაციის ჩაუტარებლად).

1935 წლის პირველი კვარტალისათვის ხე ტყის გამოზიდვაზე ცხენების საშუალო საკვარტალო რიცხვი სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში განსაზღვრულია 457,9 ათასით (56,3 ათასით ნაკლები, ვიდრე საჭირო იქნებოდა დამატებითი მექანიზაციის ჩაუტარებლად).

გამომუშავების ზემოაღნიშნული ნორმების შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იქნას ხელფასის 1935 წლისათვის დამტკიცებული ფონდის და დაქირავებული საჭაპანო ძალის შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაევალა 5 დღის ვადაში განსაზღვროს მუშათა და საჭაპანო ძალის რიცხვი ხე-ტყის დამამზადებელი ძირითადი ტრესტების მიხედვით, რაც უნდა აცნობოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს.

მექანიზებული გზების და დროებითი მისასვლელი გზების მშენებლობის და მოწყობის, აგრეთვე სატყეო-სასაწყობო მეურნეობის მექანიზაციის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია საჭირო მოწყობილობის და მასალების გადაცემა სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაეკისრა ჩაატაროს 1935 წელს ტივებად შეკვრა მექანიზებული და რაციონალიზებული წესით 10 მილიონი კუბმეტრის რაოდენობით და 1936 წელს —14 მილიონი კუბმეტრის რაოდენობით.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის და მისი ტრესტების ფინანსიური მდგომარეობის მოგვარების და სატყეო მეურნეობის სისტემაში სამეურნეო ანგარიშსწორების განმტკიცების მიზნით. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს გადაჭრით შეამციროს ზედნადები ხარჯები და დააწესოს აღნიშნული ხარჯების მტკიცე ზღვარული ნორმები გამომუშავებული მერქანის კუბმეტრზე წარმოების ცალკეული პროცესების მიხედვით (დამზადება, გამოზიდვა, დაცურება, სასაწყობო სამუშაოები); აღადგე-

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

ა. მელიხოვი

9 იანვარი და 1905 წლის რევოლუციის დასაწყისი ამიერ-კავკასიაში

30 წლის წინათ პირველ რევოლუციაში პროლეტარიატმა, რომელიც წინ უძღოდა გლეხობას, გადაჭრით დაიწყო შეტევა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, შექმნა რა ამ შეტევით წინაპირობები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ოქტომბერში. დიდია რუსეთის პირველი რევოლუციის მნიშვნელობა პროლეტარული მოძრაობის ისტორიაში და დიდია ამიერ-კავკასიის მშრომელთა როლი საერთო რევოლუციურ ბრძოლაში. მთელი რევოლუციური მოძრაობა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში თავიდანვე დაკავშირებულია ამხ. **სტალინის** მუშაობასთან და სახელთან. სტალინის მიერ გამოზრდილი ბოლშევიკური პარტია წინ უძღოდა ამიერ-კავკასიის მშრომელ მასებს მან მოაწყო პირველი პოლიტიკური გაფიცვები და პირველი პოლიტიკური დემონსტრაციები.

ვ. ი. ლენინს არაერთხელ ხაზგასმით აღუნიშნავს 1905 წლის და შემდეგიც რევოლუციური ბრძოლის არაჩვეულებრივი გაქანება ამიერ-კავკასიაში პირველი რევოლუციის წლებში. თავის შრომებში იგი არაერთხელ დაბრუნებია ამ საკითხს და დაუხასიათებია ამ ბრძოლის თავისებურება და ცალკე მხარეები. მთლიანად, ვ. ი. ლენინის სიტყვით, ეს ბრძოლა კავკასიაში ისე, როგორც პოლონეთში, განირჩეოდა „უდიდესი შეუპოვრობით, მოსახლეობის მხრივ იარაღის და ყუმბარების შედარებით უფრო ხშირად ხმარებით" (ტ. VIII, გვ. 280).

უმნიშვნელოვანესი ამბები, რომლებიც 1905 წელს ხდება ცენტრში, ცხოველ გამოხმაურებას პოულობს ამიერ-კავკასიაში, თვითეულ ცალკე შემთხვევაში ამიერ-კავკასიის მშრომელ მასებში იწვევს დიდი რევოლუციური აქტივობის გამოჟღავნებას. რევოლუციური ბრძოლა ამიერ-კავკასიაში წარმოადგენდა თვითმპყრობელობის და იმ წყობილების წინააღმდეგ მიმართული საერთო ბრძოლის ნაწილს, რომელსაც იცავდა თვითმპყრობელობა

ამიერ-კავკასიის მშრომელთა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა და პოლიტიკური ჩაგვრა ქმნიდა წინაპირობებს იმ ბრძოლისათვის, რომელსაც ამიერ-კავკასიის მუშები და გლეხები გაფთრებით აწარმოებდნენ ჯერ კიდევ რევოლუციის წინ.

ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით დაწყებული 1900 წლიდან აწყობს მთელ რიგ მასობრივ გაფიცვებს, პოლიტიკურ დემონსტრაციებს და გამოსვლებს.

1903 წელს პროლეტარიატის და გლეხობის მასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა რ.ს.დ.მ. პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით. ამ წელს ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომელთა დიდი ნაწილი თავიდანვე ლენინურ პოზიციებზე იდგა, გაერთიანდნენ რ.ს.დ.მ პარტიის კავკასიის კავშირში. კავკასიის კავშირის კომიტეტის მეთაურობით, კავკასიის კავშირის კომიტეტი ამზადებს რა მასებს რევოლუციური შეტევისათვის, ამავე დროს თავის შიგნით აწარმოებს შეურიგებელ ბრძოლას ოპორტუნისტულ ელემენტებთან და თავისი თანმიმდევრობითი რევოლუციური პოლიტიკით ცდილობს მენშევიკების გარიცხვას თავის რიგებიდან. კავკასიის კავშირის კომიტეტის თანმიმდევრობითი ბოლშევიკური ხაზი რევოლუციის წინ იწვევს ბოლშევიკური ორგანიზაციების გამიჯვნას მენშევიკურ ორგანიზაციებისაგან.

მენშევიზმთან ბრძოლა და ბრძოლა მასებისათვის ამიერ-კავკასიაში მიმდინარეობს ლენინის გავლენით, რომელთანაც ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები დაკავშირებული იყვნენ მიწერ-მოწერით და გადასახლებიდან 1904 წელს ტფილისში დაბრუნებული ამხ. **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით. ამხ. სტალინი სათავეში უდგება კავკასიის კავშირის კომიტეტს, აწარმოებს დიდ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობას, იმყოფება ამიერ-კავკასიის ყველა რევოლუციურ ცენტრში. პირადად გამოდის მიტინგებსა და კრებებზე, რედაქტორობს კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანოს „პროლეტარიატის ბრძოლას", ამავე დროს იგი არის ავტორი მთელი რიგი ფურცლებისა ჩვენი პარტიის და პროლეტარიატის ბელადის უახლოესი თანამებრძოლი ამხ. ორჯონიკიძე ამხ. **სტალინის** მოღვაწეობის შესახებ ამ პერიოდში ამბობს შემდეგს: „მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის ბრძოლის დაწყების პირველ დღიდანვე ამხ სტალინი ლენინის მხარეზეა და უკვე 1905 წლის დამდეგს ხდება ბოლშევიკების უდაო ხელმძღვანელი".

სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები რევოლუციის წინ ატარებენ ხაზს მასობრივი რევოლუციური ბრძოლის გაღრმავებისაკენ, მაშინ როცა ამიერ-კავკასიის მენშევიკები განაგრძობენ ლეგალური მარქსიზმის და ეკონომიზმის ტრადიციებს და ამ პერიოდში ისე, როგორც ყოველთვის, ატარებენ სოციალურ წინააღმდეგობათა მიჩქმალვის ტაქტიკას, აღებული აქვთ რა გეზი რეფორმებისაკენ.

რევოლუციური შეტევა 1904 წლის დამლევს ამიერ-კავკასიაში უაღრესად ძლიერი იყო. 1904 წლის დეკემბერში მოხდა ბაქოს პროლეტარიატის საყოველთაო გაფიცვა. ეს გაფიცვა, რომლის დროს ადგილი ჰქონდა სისხლისმღვრელ შეტაკებებს პოლიციასთან, 18-დან 31 დეკემბრამდე გაგრძელდა და დამთავრდა რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველი კოლექტიური ხელშეკრულების დადებით. ბაქოს 1904 წლის გაფიცვა ამხ. სტალინის სიტყვით „გადაიქცა სიგნალად იანვარ-თებერვლის სახელოვან გამოსვლებისათვის მთელს რუსეთში"

ბაქოს გაფიცვის დღეებში ტფილისში ტფილისის კომიტეტი აწყობს მუშათა მიტინგებს დემონსტრაციებს. ამ მიტინგებსა და დემონსტრაციებზე გაისმის შეძახილი „ძირს თვითმპყრობელობა" და ფრიალებს წითელი დროშები მხარის ადმინისტრაცია შეშფოთებულია, ეშინიათ გაფიცვა ბაქოდან ტფილისში არ გადავიდეს.

იანვარში რევოლუციური მღელვარება იწყება ყველგან. საჭირო იყო მხოლოდ ბიძგი, რომელიც აამოძრავებდა მშრომელ მასებს. ასეთ ბიძგად გადაიქცა 9 იანვრის ამბები პეტერბურგში.

„როგორც კი ტელეგრაფმა მოიტანა ცნობა პეტერბურგის ამბების შესახებ, ყველა დიდ ქალაქში დაიწყო გაფიცვები, ხოლო ზოგიერთ ადგილას გაიმართა დემონსტრაციები, რათა პროტესტი განეცხადებინათ უიარაღო მასის ბარბაროსულად ამოჟლეტის წინააღმდეგ, რათა მხარი დაეჭირათ პეტერბურგელ ამხანაგებისათვის. ასე მოხდა ჩვენში, ტფილისში. ჩვენ ვუჩვენეთ მთელს მსოფლიოს მთელი მუშათა კლასის სოლიდარობა, ხოლო ეს ყველაზე მთავარია ამხანაგებო",—ნათქვამი იყო რ.ს.დ.მ. პარტიის კავკასიის კავშირის ტფილისის კომიტეტის პროკლამაციაში. ტფილისის პროლეტარიატმა, ხოლო შემდეგ ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების პროლეტარიატმაც პეტერბურგში მომხდარ დახვრეტებს უპასუხა საყოველთაო გაფიცვით.

ტფილისში გაფიცვა დაიწყო 18 იანვარს. მუშაობა შეწყვიტეს რკინიგზის მთავარ სახელოსნოს მუშებმა. მათ შეუერთდნენ მექანიკური ქარხნების და სტამბების მუშები. ამის გამო შეწყდა ბევრი გაზეთის გამოსვლა. ადმინისტრაციამ გადასწყვიტა ჩანასახშივე ჩაეხშო საგაფიცვო მოძრაობა და 19 იანვარს ღამით დააპატიმრა აქტივისტ რევოლუციონერთა ჯგუფი. ამ ღონისძიებამ ვერ შეაჩერა მუშების ბრძოლა. 19 თებერვალს გაფიცულებს შეუერთდნენ ახალი საწარმოების (ადელხანოვის ქარხნის, თამბაქოს ფაბრიკა „შირის" და სხვ.) მუშები. ამავე დღეს დიდუბეში გაიმართა მიტინგი, რომელსაც 2 ათასი კაცი დაესწრო. პოლიციამ სცადა დემორალიზაცია მოეხდინა შეკრებილთა შორის, მიტინგზე გამოცხადდა პოლიცმეისტერი, მოითხოვა, რომ მუშები წყნარად მოეკიდონ ტფილისის პოლიციის სამმართველოში და აირჩიონ დეპუტატები მათი მოთხოვნების წარსადგენად. ამავე დროს პოლიცმეისტერის განკარგულებით მიტინგზე შეკრებილთა წინააღმდეგ გაიგზავნა კაზაკები და პოლიციელები.

გაფიცულ მუშების მიერ წარდგენილ მოთხოვნებში, რომლებიც გამოაქვეყნა კომიტეტმა, მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნებთან ერთად (8 საათის სამუშაო დღე, ხელფასის გადიდება და სხვ.) მკაფიოდ ჩამოყალიბებული იყო პოლიტიკური მოთხოვნები. ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა თვითმპყრობელობის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

გაფიცვა ტფილისში ფართოვდება. მას უერთდებიან ახალ საწარმოთა მუშები. გაფიცვა გადადის ახალ ცენტრებში. გაფიცული არიან რკინიგზის მუშები ტფილისიდან ბათუმამდე. გაფიცულებს უერთდებიან ბათუმის ქარხნების მუშები, ფოთის, სოხუმის მუშები და მოსამსახურეები, ჭიათურის, შორაპნის და სხვ. მუშები. 25 იანვარს გაიფიცნენ ელიზავეტოპოლის სადგურის მუშები, რომლებმაც ადმინისტრაციას წარუდგინეს მთელი რიგი მოთხოვნები.

გაფიცვის აზვირთებული ტალღა მოიცვა ინტელიგენციის და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლების რიგებს. თითქმის ყველგან მუშებს უერთდება მოსამსახურეთა და კანტორის მუშაკთა ნაწილი, ქუთაისში დიდი მღელვარება იწყება მოსწავლე ახალგაზრდობას შორის. გაფიცვებს აწყობენ აგრეთვე ტფილისის ზოგიერთი სასწავლებლის მოწაფეები. ეპარქიალურ სასწავლებელში ხდება მოწაფე ქალების შეტაკება აღმზრდელებთან.

თავიდანვე მშრომელთა გამოსვლები მწვავე ხასიათს ღებულობს. ხან ერთ და ხან მეორე ადგილას ხდება შეტაკება პოლიციასთან, რომელსაც მსხვერპლიც მოსდევს. რკინიგზის ზოგიერთ უბანზე გაფიცვას თანსდევს რკინიგზის ლიანდაგის დანგრევა. წყდება რკინიგზის მოძრაობა, ჩერდება მატარებლები.

გაფიცვების დროს ამიერ-კავკასიაში იმართება პოლიტიკური დემონსტრაციები და მასობრივი მიტინგები. 19 იანვარს ქუთაისში დემონსტრაციას აწყობს ახალგაზრდობის მცირერიცხოვანი ჯგუფი (დაახლოებით 100 კაცი). დემონსტრაცია მეორდება მეორე დღეს, აგრეთვე 24 იანვარს. 28 იანვარს ტფილისში მოეწყო მასობრივი პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელიც დამთავრდა პოლიციასთან შეტაკებით. შეტაკების დროს დაიჭრა, როგორც დემონსტრანტები, ისე პოლიციელები. აღნიშნულ დღეს მუშები დილიდანვე შეიკრიბნენ გოლოვინის პროსპექტის რაიონში. დაახლოებით ნაშუადღევის პირველ საათზე თეატრის შესასვლელიდან გოლოვინის პროსპექტზე გამოვიდა დარაზმულ მუშათა ჯგუფი 50 კაცის შემადგენლობით. მათ დაუყოვნებლივ შეუერთდნენ მუშები მეზობელ უბნებიდან. შეიქმნა მრავალრიცხოვანი კოლონა. აფრიალეს წითელი დროშა წარწერით: „ძირს თვითმპყრობლობა", გაისმა რევოლუციური ლოზუნგები და დაიწყეს რევოლუციური ხასიათის პროკლამაციების გავრცელება. ასეთი პროკლამაციები ჟანდარმების ცნობით გავრცელდა „2—3 ათასამდე". დემონსტრანტებს ერთბაშად თავს დაესხნენ შეიარაღებული პოლიციელები, იშიშვლეს ხმლები, გაისმა სროლა. პასუხად დემონსტრანტებმაც აუტეხეს სროლა. მოხდა შეტაკება, რომლის შედეგად დემონსტრანტების მხარეზე მძიმედ დაიჭრა სამი კაცი და მსუბუქად დაიჭრა და სცემეს 30 კაცს. შეტაკების დროს დაიჭრა აგრეთვე 6 პოლიციელი. ბევრი დემონსტრანტი დააპატიმრეს.

მიუხედავად რეპრესიებისა, დემონსტრაცია საერთოდ წარმატებით ჩატარდა და კიდევ უფრო დიდი რევოლუციური აღტყინება გამოიწვია ტფილისის მუშებს შორის.

დემონსტრაციები და მიტინგები ორგანიზებულად იმართება აგრეთვე პროვინციებში დიდი შეიარაღებული დემონსტრაცია გაიმართა ჭიათურაში მარგანეცის მუშებს შორის, რომელთა უმრავლესობა ბოლშევიკების გავლენის ქვეშ იყო. დიდი დემონსტრაციები გაიმართა ბათუმსა და სოხუმში და მთელი რიგი დემონსტრაციები—წვრილ ადმინისტრატიულ ცენტრებსა და დიდ სოფლებში.

ქართველი გლეხობა ყურადღებით ადევნებდა თვალყურს პროლეტარიატის ბრძოლას. მთელ რიგ რაიონებში რკინიგზის ხაზზე გაფიცვის დაწყებიდანვე გლეხობა მუშებთან ერთად მონაწილეობას იღებს გამოსვლებში, მიტინგებსა და დემონსტრაციებში. სხვადასხვა ადგილას იანვრის დღეებში პროლეტარიატის ბრძოლის ზეგავლენით გლეხებმა სცადეს დამოუკიდებლად გამოსვლა. ქუთაისის მაზრის სოფ. დიდჯიხაიშში ამ სოფლის და მახლობელი სოფლების გლეხებმა ბაზრობის დღეს გამართეს პოლიტიკური დემონსტრაცია. დემონსტრანტების წინააღმდეგ გაიგზავნა ყაზახები. დემონსტრანტებსა და ყაზახებს შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროს ყაზახებმა მოკლეს ერთი გლეხი და დასჭრეს რამდენიმე. მთელ რიგ ადგილებში იწყება აგრარული მღელვარება. სულ უფრო და უფრო ხშირად მოდის ცნობები გლეხთა ტერორისტული აქტების შესახებ ადმინისტრაციის წარმომადგენლების და მემამულეების წინააღმდეგ.

გურიაში გრძელდება მთელი გლეხობის ორგანიზებული ბრძოლა მემამულურ — თვითმპყრობელური წესწყობილების წინააღმდეგ. გლეხები, რომლებსაც ხელმძღვანელობს სოციალ-დემოკრატია, უარს ამბობენ ბეგარაზე მემამულეების სასარგებლოდ და სახელმწიფო გადასახადის შეტანაზე, უარს ამბობენ მთავრობის განკარგულებათა შესრულებაზე და ყველა საზოგადოებრივ საქმეს დამოუკიდებლად სწყვეტენ. ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედება გურიაში სრულიად პარალიზებულ იქნა. იანვრის ამბების შემდეგ გურიის გლეხობის მოძრაობა თებერვალ-მარტში არაჩვეულებრივად ძლიერდება.

იანვრის გაფიცვა ამიერ-კავკასიაში თვის ბოლომდე გრძელდება. კავკასიის ადმინისტრაცია ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს გაფიცულთა წინააღმდეგ: ყველა სამრეწველო ცენტრში და კერძოდ ტფილისში თავს უყრიან ჯარებს. მუშათა კრებებს შლიან. ხშირდება დაპატიმრება. ნი. ადმინისტრაცია აკეთებს ყველაფერს, რაც შესაძლებელია, რათა ჩაახშოს გაფიცვა. ამავე დროს მუშებს პირდებიან მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თვის ბოლოს სამხედრო და პოლიციური ძალების შეტევის გამო მთელ რიგ საწარმოებში მუშები იძულებული ხდებიან განაახლონ მუშაობა. გაითვალისწინეს რა ძალთა განწყობილება და ის გარემოება, რომ მოცემულ ეტაპზე პოლიტიკურმა გაფიცვამ მიაღწია თავის მიზანს —უჩვენა თვითმპყრობლობას პროლეტარიატის მძლავრი სოლიდარობა, ბოლშევიკურმა კომიტეტმა, ტფილისში და ადგილობრივმა კომიტეტებმა გადასწყვიტეს დაამთავრონ გაფიცვა პირველ თებერვალს.

აჯამებს რა იანვრის საგაფიცვო ბრძოლას შედეგებს, რ.ს.დ.მ. პარტიის კავკასიის კავშირის ტფილისის კომიტეტი გაფიცვის შემდეგ გამოშვებულ პროკლამაციაში აღნიშნავს: „ამ ბრძოლამ ჩვენ ბევრი რამ გვასწავლა, პირისპირ შეგვახვედრა ჩვენს მტრებს, გამოარკვია მუშათა კლასის უკულაზე ჩამორჩენილი ფენები და გადმოიყვანა ისინი ჩვენს რიგებში, სოციალ-დემოკრატის რიგებში".

საყოველთაო გაფიცვა დამთავრდა თებერვლის დამდეგს, მაგრამ ამით არ დამთავრებულა რევოლუციური ბრძოლა ამიერ-კავკასიაში. რევოლუციური მღელვარების ტალღა, გაფიცვები სხვადასხვა ადგილას, გლეხების გამოსვლები, ტერორისტული აქტები იანვრის ამბების შემდეგ სულ უფრო და უფრო ძლიერდება!

პოლიციის და ჯარების სიმხეცე თავიდანვე აშკარავდება ყველგან, სადაც საქმე მიდის მშრომელთა აშკარა გამოსვლამდე. განსაკუთრებით დიდ სიმხეცეს იჩენენ იანვარში ყაზახები ქ. ბათუმში.

მაგრამ ეს თვითმპყრობელობისათვის ცოტა იყო, მისმა დამქაშებმა თებერვალში ბაქოში პროვოკაციის გზით გამოიწვიეს ნაციონალური ხოცვა-ჟლეტა. ნაციონალური შუღლი და წაქეზება—ეს თვითმპყრობელობის ჩვეულებრივი საშუალება იყო მშრომელი მასების რევოლუციური აქტივობის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელს რუსეთის იმპერიაში და კერძოდ კოლონიებში. ამ საშუალებას თვითმპყრობელობა არაერთხელ იყენებდა 1905 წელს ამიერ-კავკასიაში.

ოთხ დღეს, 6-დან 10 თებერვლამდე, გრძელდებოდა ხოცვა-ჟლეტა ბაქოში. ამ საზიზღარი პროვოკაციის შედეგად ოფიციალური ცნობებით მოკლულ იქნა 232 კაცი და დაიჭრა 185 კაცი. ამ პოგრომმა დიდი ზიანი მიაყენა რევოლუციას, მაგრამ მანვე გამოიწვია ამიერ-კავკასიაში ახალი რევოლუციური აღტყინება. თვითმპყრობელობის პოგრომულ-ნაციონალისტური ტაქტიკის და კერძოდ, ბაქოს პოგრომის შედეგების შესახებ ლენინი წერდა: „რასაკვირველია, რასიული შუღლის და ტომობრივი სიძულვილის გაღვივებით, მთავრობას შეუძლია რამდენიმე ხნით შეაჩეროს კლასობრივი ბრძოლის განვითარება, მაგრამ მოკლე ხნის და ამასთან ახალი ბრძოლის ასპარეზის კიდევ უფრო მეტად გაფართოების ფასით, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხალხის კიდევ უფრო გაბოროტების ფასით, ამას ამტკიცებს: შედეგები ბაქოს პოგრომისა, რომელმაც გაათკეცა ყველა ფენების რევოლუციური განწყობილება ცარიზმის წინააღმდეგ" (ტ VII, გვ 155).

და მართლაც, რევოლუციური ტალღა ამიერ-კავკასიაში კვლავ მატულობს პოგრომის შემდეგ. რამდენიმე დღის განმავლობაში ბაქოში ტარდება მთელი რიგი მასობრივი, მრავალათასიანი კრებები და მიტინგები, რომლებზედაც გაისმის მხურვალე სიტყვები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატიის ავტორიტეტი განუზომლად იზრდება.

ბაქოს პროლეტარიატის რევოლუციურ პროტესტს უერთდებიან მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელები. ყველა ქალაქში, პოგრომთან დაკავშირებით, ტარდება მასობრივი მიტინგები და დემონსტრაციები. ერთი ასეთი დემონსტრაციის შესახებ გაზეთ „ვპერიოდში" ვკითხულობთ შემდეგს: „საკრებულო ტაძარში შესდგა 6—9 თებერვლის მსხვერპლთა სადემონსტრაციო პანაშვიდი. 20 ათასი კაცისაგან შემდგარი საზოგადოების წინაშე წარმოთქმული იყო მხურვალე რევოლუციური სიტყვები. მთელმა მასამ, როგორც ერთმა კაცმა, აუწერელი აღფრთოვანებით დასდო ფიცი იბრძოლოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. განწყობილება არაჩვეულებრივი იყო. ასდგენ მოსახლეობის ისეთი ფენებიც კი, რომლებსაც დღემდე არაფერი არ აღელვებდა".

ამ დროიდან რევოლუციურ ცეცხლში იწვის მთელი ამიერ-კავკასია მარტში, აპრილში კვლავ ძლიერდება საგაფიცვო ბრძოლა. სოფლებში სწარმოებს გლეხთა ბრძოლა მემამულეებისა და მთელი თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ. ამიერ-კავკასიაში სულ უფრო ხშირად ხდება მასების შეიარაღებული შეტაკება პოლიციასა და ჯართან. ცალკეული შეტაკება ღებულობს შეიარაღებული შეტაკების ხასიათს. ახასიათებდა რა ბრძოლის ამ მხარეს, ვ. ი. ლენინი წერილში „რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა" წერდა: „დაიწყო მეფის ჯარებისადმი ხალხის შეიარაღებული წინააღმდეგობის ცდები. დაიწყო ხალხის ნამდვილი ბრძოლები ქუჩაში ჯართან— ბრძოლები ბარიკადებზე. კავკასიამ ლოძმა, ოდესამ, ლიბავამ ამ უკანასკნელ დროს მოგვცეს პროლეტარული გმირობის და სახალხო ენტუზიაზმის ნიმუშები. ბრძოლა აჯანყებად იქცეოდა". (ტომი VII, გვ. 379).

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები რევოლუციის დაწყების მომენტიდანვე ეწეოდნენ აგიტაციას შეიარაღებული აჯანყების სასარგებლოდ. ამიერ-კავკასიის მშრომელ მასებში ეს ლოზუნგი პოპულარული ხდება. პროლეტარიატი და გლეხობა, რომლებიც დიდ აქტივობას და ინიციატივას იჩენენ, გადამწყვეტ ზომებს ღებულობენ თვითშეიარაღებისათვის. ყველა მხრიდან, სამრეწველო ცენტრებიდან, მიყრუებულ სოფლებიდან მხარის ადმინისტრაცია ღებულობს ცნობებს, რომ ხდება თავდასხმები პოლიციელთა საგუშაგოებზე, ჩაფრებსა და სამხედრო ნაწილებზედაც კი იმ მიზნით, რომ ჩამოართვან იარაღი. ამ ბრძოლაში ხშირად გამარჯვება რევოლუციონერების მხარეზე იყო.

აჯამებდა რა 1905 წლის ბრძოლის პირველი თვეების შედეგებს, კავკასიის საკავშირო კომიტეტი მარტში გამოცემულ პროკლამაციაში ერთხელ კიდევ გარკვეულად აღნიშნავდა, რომ რევოლუციური დღის წესრიგის ძირითად საკითხს წარმოადგენს შეიარაღებული აჯანყების საკითხი. ამ პროკლამაციაში ჩვენ ვკითხულობთ: „დღეს, როცა პროლეტარიატს სწყურია რევოლუცია, როცა იგი შეგნებულად ცდილობს ხელმძღვანელობა გაუწიოს რევოლუციას და კლასობრივი ინტერესები ავალებენ მას გახდეს ბელადად,—პროლეტარების პარტია ვალდებულია მოამზადოს აჯანყების საქმე, და განამტკიცოს ნიადაგი პროლეტარიატის ნამდვილი ხელმძღვანელობით".

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები თანმიმდევრობით იბრძვიან 1905 წელს ამ ლოზუნგის განხორციელებისათვის წინააღმდეგ მენშევიკების ოპორტუნისტული ხაზისა. ამიერ-კავკასიის პროლეტარიატმა და გლეხობამ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით და ამხ. სტალინის წინამძღოლობით 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლაში გამოიჩინეს უმაგალითო გაქანება, გაბედულება, შეუპოვრობა და ორგანიზებულობა.

◆

სსრ კ. სახკომსაბჭოში და საქ. კ.პ.(ბ)ც კ-ში

ზოს ხე-ტყის დამამზადებელ ტრესტებში თვიური ბალანსების შედგენის სხვა სამეურნეო ორგანოებისათვის საერთო წესი; მტკიცედ განისაზღვროს ტრესტებს, სატყეო-სამრეწველო მეურნეობებსა და პროდუქციის გასაღების მონაწილე სხვა გამსაღებელ ორგანიზაციებს შორის სამეურნეო ურთიერთობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს სწორ სამეურნეო ანგარიშს და ანგარიშსწორების ოპერაციების თავის დროზე ჩატარებას.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებს ნება მიეცათ შეუწყვიტონ სატყეო პროდუქციის გაგზავნა იმ საწარმოებს და ორგანიზაციებს, რომლებიც თავის დროზე არ ასწორებენ ანგარიშებს მიწოდებული მასალისათვის.

ხე-ტყის დამზადებასა და დაცურებაზე ყველა შრომისტევადი პროცესისათვის მტკიცე ბაზის შექმნის მიზნით, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს მიეცა კონკრეტული დავალებანი მოაწყოს 1935 წელს საჭირო ინსტრუმენტების და მოწყობილობის წარმოება.

საჭიროდ იქნა ცნობილი სატყეო სამუშაოებზე მომუშავე ტრაქტორების და ავტომობილების სასწრაფოდ გადაყვანა თხევადი სათბობიდან შეშის სათბობზე, რისთვისაც მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაევალა 1935 წლის მეორე კვარტალიდან დაწყებული, დამატებით მოაწყოს ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის ტრაქტორები და სატვირთო ავტომობილები, რომლებიც სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს უნდა გადაეცეს, გაზგენერატორული დანადგარებით, რომლებიც საჭიროა შეშის სათბობზე მუშაობისათვის, ამასთან შეფარდებით მოაწყოს 1936 წლის პირველი კვარტალიდან დაწყებული, გაზგენერატორების და ძრავების ნაწილების წარმოება.

საერთო სარგებლობის რკინიგზის ლიანდაგებთან ხე-ტყის გადაზიდვის მანძილის შემცირების მიზნით, გზათა სახალხო კომისარიატი ვალდებულია სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით გახსნას ხე-ტყის დამზადების რაიონებში 218 არასატარიფო ასაქცევი და ჩიხები, რომლებიც ამჟამად დახურულია.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღიარეს, რომ მექანიზებული ხე-ტყის დამუშავების ძირითადი საწარმოო რგოლი უნდა იყოს ხე-ტყის მექანიზებული პუნქტი, როგორც დამოუკიდებელი საწარმოო-ტერიტორიალური ერთეული, რომელიც წარმოადგენს მერქანის მექანიზებული გამოზიდვის, დატვირთვის და დამუშავების (გამოტოვებულია) ბაზას (ფართო ლიანდაგიანი ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზის შტოები, სატრაქტორო, დაკიდებული და სხვა გზები, დასატვირთავი მანქანები დასამუშავებელი დაზგები და სხვ.).

სატყეო პუნქტს, რომელსაც ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზა აქვს, უნდა მოეპოებოდეს [illegible] ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ვიწრო ლიანდაგიანი გზის მუშაობას ხულ ცოტას შვიდი წლის განმავლობაში მაინც წლიური ტვირთბრუნვით 250 ათასი კილომეტრიდან და ზევით.

ზევით (50 ათასი კუბიკური მეტრი თვითეულ მომუშავე ორთქლმავალზე წლიურად საშუალოდ 30 კილომეტრის მანძილზე გატანის პირობებში), დროებითი ვიწრო-ლიანდაგიანი და რაციონალიზირებული მოსახვლელი გზების ქსელით და მექანიზირებული დასამუშავებელ და სატვირთავი საწყობებით.

სამუშაოები აღნიშნულ სატყეო პუნქტში უნდა წარმოებდეს მთელ წელიწადს (270-300 სამუშაო დღეს ორცვლიანი მუშაობის პირობებში).

სატყეო პუნქტი სატრაქტორო გზით ეწყობა მაშინ, თუ არსებობს ხულ მცირე 300 ათასი კუბიკური მეტრი ნედლეულის მარაგი და გზის წლიური დატვირთვა 80 ათასი კუბიკურ მეტრზე არანაკლებია. ტრაქტორების რაოდენობა (ტრაქტორებით მერქანის გატანის გათვალისწინებით) უნდა იყოს 8 და უფრო მეტი. პუნქტი აღჭურვილი უნდა იყოს მექანიზმებით მერქანის დასატვირთად და დასამუშავებლად.

სატრაქტორო გზებზე მუშაობა უნდა წარმოებდეს ორ ცვლად.

მექანიზირებული სატყეო პუნქტის უფროსი არის სრულუფლებიანი ხელმძღვანელი, რომელიც უშუალოდ პასუხს აგებს გეგმის შესრულებისათვის ყველა მაჩვენებლის მიხედვით და აწარმოებს ყველა სამუშაოს ოპერატიულ ხელმძღვანელობას სატყეო პუნქტში. იგი ემორჩილება სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორს და მას თანამდებობაზე ამტკიცებს ტრესტის მმართველი.

მექანიზირებული სატყეო პუნქტის უფროსს თავის თანაშემწედ ყავს ტექნიკური ხელმძღვანელი და უფროსი მექანიკოსი.

ხე-ტყის დამზადების და დაცურების მექანიზაციის საქმის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით გადაწყვეტილია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი: სატყეო-სამრეწველო მეურნეობებში, სადაც კი მექანიზირებული სატყეო პუნქტების საგრძნობი რაოდენობა მოიპოვება, წესდება მთავარი ინჟინრის თანამდებობა, რომელიც უშუალოდ ემორჩილება სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორს. მთავარ ინჟინერს ეკისრება ხელმძღვანელობა გაუწიოს ხე-ტყის დამზადების და გამოტანის მექანიზაციას და რაციონალიზაციას. ტრესტებში წესდება მთავარი ინჟინრის თანამდებობა, რომელიც უშუალოდ ემორჩილება ტრესტის მმართველს. ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოებში იქმნება კაპიტალური მშენებლობისა და ხე-ტყის დამზადების — დაცურების მექანიზაციის სექტორები, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან მთავარ სამმართველოთა უფროსებს.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაევალა დააწესოს მექანიზირებული სატყეო პუნქტების ტიპური შტატები. ტიპური შტატების საფუძველზე, სატყეო პუნქტების დამხმარე მექანიკური პერსონალის (ზეინკლები, მონტიორები, რემონტის დარგის მუშები და სხვა) რაოდენობას თვითეულ სატყეო პუნქტში აწესებს ამ უკანასკნელის უფროსი, სამუშაოთა მოცულობის, მექანიზირებული და რაციონალიზირებული გზების სიგრძის და სხვა პირობების მიხედვით და ამტკიცებს სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორი.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბრძანებით დაწესებულია მანქანების პროდუქტიულობის და ხე-ტყის გატანის საშუალო ნორმები 1935 წლისათვის.

ს.ს.რ. კ-ის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა დაამტკიცეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბრძანება, რომლის მიხედვით ყველა სამუშაო მექანიზმებზე გადაყვანილი იქნება სანარდო ანაზღაურებაზე, ტარდება პროგრესია დადგენილი ნორმების გადაჭარბებით შესრულების დროს, წესდება ხელფასის ახალი გადიდებული თვიური განაკვეთები [illegible] მუშებისათვის, შემოღებული იქნება ტრაქტორისტების, მოტორისტების, ორთქლმავალთა მემანქანეების და სატვირთო მანქანების შოფერების დაჯილდოვება და 15 პროცენტით ემატება ხელფასი უშუალოდ მექანიზირებულ სატყეო პუნქტებში და მექანიზირებულ გზებზე მომუშავე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, ტრესტის აპარატების სათანადო მუშაკთა ხელფასთან შედარებით, წესდება საპრემიო ფონდი მექანიზირებულ გზებზე დაბანდებული მუშების ხელფასის ფონდის ერთი პროცენტის რაოდენობით საუკეთესო დამკვრელი მუშების და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დასაჯილდოვებლად, რაც გამოიყოფა სატყეო პუნქტების უფროსთა განკარგულებაში.

მექანიზმებზე მომუშავე მუშებისათვის (ტრაქტორისტები, მოტორისტები მემანქანეები, შოფერები, მედაზგეები, ხის-საჭრელ და სახერხ დაზგებზე დაბანდებული და სხვა აგრეგატების მუშები), აგრეთვე მექანიზირებულ გზებსა და ბარჟებზე მომუშავე ინჟინერ-ტექნიკურ და მათთან გათანაბრებული მუშაკებისათვის წესდება მომარაგების ნორმა ხე-ტყის მჭრელებისა და მზიდავებისათვის დადგენილ ნორმებზე ათი პროცენტით მეტი.

ხე-ტყის დამზადებაზე მუშათა მუდმივი კადრების შენარჩუნების და მათთვის სათანადო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის მიზნით, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი ვალდებულია გაიღოს 1935 წელს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაზე ხე-ტყის ხაზით 5 მილიონი მანეთი (აბანოებისათვის, კლუბებისათვის, ბაგებისათვის და სხვ.).

საკავშირო კომუნალურ ბანკს წინადადება ეძლევა მისცეს 1935 წელს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს 5 მილიონი მანეთი გრძელვადიანი სესხი მუშების ძირითადი კადრების მიერ პირუტყვის შეძენაში დახმარების აღმოსაჩენად, ხოლო ცენტრალურმა კოოპერატიულმა ბანკმა უნდა მისცეს 5 მილიონი მანეთი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის გასაშლელად მექანიზმებზე დაბანდებული მუშებისათვის.

მუშათა მუდმივი კადრებით ხე-ტყის მექანიზირებული გამოტანის, აგრეთვე სხვა სატყეო სამუშაოთა დაკომპლექტების მიზნით, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაევალა მოამზადოს 1935 წელს ხულ მცირე 3.850 კვალიფიციური მუშაკი.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა მექანიზირებულ სატყეო პუნქტებში თავი უნდა მოუყაროს საუკეთესო სამეურნეო მუშაკებს და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რისთვისაც ამ პუნქტებში სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ტრესტის აპარატიდან ერთი თვის ვადაში უნდა გადაიყვანოს ხულ მცირე 200 კაცი, ამასთან გადაყვანის მსვლელობა ყოველ დეკადობით აცნობოს ს. ს. რ. კ-ის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს.

საქ. კ. პ. (ბ) გადამწყვეტი სატყეო რაიონების ოლქკომებს და რაიკომებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ საუკეთესო პარტიული და პროფკავშირული მუშაკების შერჩევა მექანიზირებული სატყეო პუნქტებისათვის, ამასთან ჩაატარონ მუშაობა კადრების განსამტკიცებლად არა მობილიზაციის და ხელაღებით გადაყვანის წესით, არამედ პერსონალური შერჩევის გზით.

ვინაიდან მშენებლობის წერტების და მექანიზირებული პუნქტების ტიპის სწორად შერჩევას, აგრეთვე სატყეო სამუშაოებზე მექანიზმების ათვისებას და სრულ დატვირთვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ს. ს. რ. კ-ის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა დაავალეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს და ხე-ტყის დამამზადებელ სხვა ორგანიზაციებს მოაგვარონ მექანიზებული სატყეო პუნქტების ინსტრუქტირება, მათთვის დახმარების გაწევა და სისტემატიურად შეამოწმონ მათი მუშაობა.

* * *

ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი ხაზგასმით აღნიშნავენ ხე-ტყის დამზადებასა და დაცურებაზე ყველა შრომატევადი პროცესის მექანიზაციის უდიდეს სახალხო სამეურნეო მნიშვნელობას და მოითხოვენ ყველა სატყეო ორგანოსაგან, პარტიულ, საბჭოთა და პროფესიული — ორგანიზაციებისაგან — მოახდინონ ხე-ტყის მჭრელების, დამცურავების და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკების ფართო მასების მობილიზაცია ხე-ტყის სამუშაოთა მექანიზაციისათვის, ხე-ტყის დამზადების და გამოტანის დამტკიცებული გეგმების შესრულებისათვის საბრძოლველად.

ამხ. ლიტვინოვი ჟენევაში

ჟენევა, 19 იანვარი. გუშინ ამხ. ლიტვინოვი ინახულა ლიტვის ელჩმა პარიზში კლიმასმა. ამის შემდეგ ამხ. ლიტვინოვი დაესწრო ლავალთან გამართულ სადილს, რომელზეც იყვნენ აგრეთვე მცირე და ბალკანეთის ანტანტის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები.

დღეს დილით ამხ. ლიტვინოვმა ინახულა ლავალი.

ერთა ლიგის საბჭოს სხდომის შემდეგ ამხ. ლიტვინოვი ინახულა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატოლოვმა (ატს).

ამხ. ლიტვინოვის განცხადება

პარიზი, 19 იანვარი. საფრანგეთის მთელი პრესა ათავსებს ამხ. ლიტვინოვის განცხადებას, რომელიც მან მისცა ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტს. „ერ ნუველ" მოყავს ამხ. ლიტვინოვის განცხადება და ულოცავს ლავალს იმ შედეგებს, რომლებსაც მიაღწია მან ამხ. ლიტვინოვთან და მცირე ანტანტის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს (ატს).

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები

ერთალიგის კომიტეტის შემადგენლობაში

ჟენევა, 19 იანვარი. ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლასთან დაკავშირებით, ლიგის საბჭომ შეავსო ერთალიგის მთელი რიგი კომიტეტების შემადგენლობა ახალი წევრებით — საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებით. ეკონომიური კომიტეტის წევრად დაინიშნა ამხ. როზენბლიუმი, საფინანსო კომიტეტის—ამხ. სვანიძე და ჰიგიენის კომიტეტის — პროფესორი ბრანერი. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებით სხვა კომიტეტების შესაძლებელი შევსების საკითხი გადაიდო საბჭოს მაისის სესიამდე (ატს).

◆

იაპონიის ჯარების კონცენტრაცია ჩახეს პროვინციაში

შანხაი, 20 იანვარი. გრძელდება იაპონიის ჯარების თავმოყრა ჩახეს პროვინციის დასავლეთ ნაწილში. იტყობინებიან, რომ დაპაში (ჩახეს დასავლეთ ნაწილში) ჩავიდა მანჯურიის 3 ათასი და იაპონიის 1.000 კაცისაგან შემდგარი ჯარი (ატს).

ტოკიო, 20 იანვარი. სიმბუნრენგოს სააგენტო იტყობინება, რომ იაპონიის სამხედრო ატაშემ ბეიპინში, პოდპოლკოვნიკმა ტაკახასიმ 19 იანვარს ინახულა ჩახარის პროვინციული მთავრობის თავმჯდომარე გენერალი სუნ ჟე-იუანი, (რომელიც ამჟამად ბეიპინში იმყოფება) და მოსთხოვა მას ჩინეთის ჯარების დაუყოვნებლივ ევაკუაცია. (ატს).

ინგლის-ფინეთის დავა ერთა ლიგის საბჭოში

ჟენევა, 19 იანვარი. ერთა ლიგის საბჭოს გუშინდელ სხდომაზე წარმოებდა ფინეთ-ბრიტანეთის დავის განხილვა. 1914—1918 წლების ომის დროს ინგლისის მთავრობა ბალტის ზღვაში ტვირთზიდვისათვის სარგებლობდა აგრეთვე ფინეთის კუთვნილი გემებით. ფინელთა გემთმფლობელებმა ომის შემდეგ განაცხადეს, რომ გემებით სარგებლობის ფასი მთლიანად არ არის ანაზღაურებული და აღძრეს საქმე ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ. ინგლისის სასამართლოში ფინელებმა საქმე წააგეს. მაშინ ფინეთის მთავრობამ საჩივრით მიმართა ერთა ლიგას. ფინეთის მთავრობა ემყარებოდა ერთა ლიგის წესდების მე-11 მუხლს, რომელიც ამბობს, რომ ერთა ლიგის წევრს უფლება აქვს ერთა ლიგის პლენუმის ან საბჭოს ყურადღება მიაქციოს ყოველგვარ გარემოებას, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს საერთაშორისო ურთიერთობას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ხალხთა შორის მშვიდობიანობას ან კეთილ თანხმობას. საბჭოს სხდომაზე წარმოებდა დისკუსია: დასაშვებია თუ არა მუხლის ასე ფართოდ განმარტება. ესპანეთის, თურქეთის და პორტუგალიის დელეგატებმა დადებითი პასუხი მისცეს. ავსტრალიის, ინგლისის, იტალიის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა უარყოფითი აზრი გამოთქვეს კერძოდ, ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ ერთა ლიგის წესდების აღნიშნული მუხლის ესოდენ ფართოდ განმარტება არამც თუ უკარგავს მას პოლიტიკურ აზრს. არამედ ნიშნავს ერთალიგის წესდების, მისი ფუნქციების და თვით ერთა ლიგის შემადგენლობის ისეთ ცვლილებათა გზაზე დადგომას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ლიგის მიზნებს და ამოცანებს. იმის დაშვება, რომ ერთა ლიგა გადაიქცეს ფულად-კომერციული ხასიათის დავის გადამჭრის მექანიზმად, ნიშნავს დავივიწყოთ ლიგის ძირითადი ამოცანა—ბრძოლა საერთაშორისო მშვიდობიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. საბჭომ დაავალა თავმჯდომარეს—თევფიკ რუშტი არასის ჩამოაყალიბოს ხვალინდელ სხდომაზე პრაქტიკული წინადადებანი (ატს).

◆

საფრანგეთის პრესა რომის მოლაპარაკების შესახებ

პარიზი, 19 იანვარი. საფრანგეთის გაზეთების ყველა კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ჟენევის მოლაპარაკებამ საბედნიერო შედეგი გამოიღო და რომ ამ მოლაპარაკებამ, მათ მიერ მიღებული ცნობების თანახმად, კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი საფრანგეთსა, საბჭოთა კავშირსა და მცირე ანტანტას შორის. კორესპონდენტების სიტყვით, ურთიერთდახმარების აღმოსავლეთის პაქტის დადების საქმეს წინ წაიწია. „თუ გერმანია,— წერს „ეკო დე პარი",—უარს იტყვის ურთიერთ დახმარების ვალდებულებებზე, მაშინ საფრანგეთის მთავრობა იკისრებს ამ ვალდებულებებს საბჭოთა კავშირის და ჩეხოსლოვაკიის მიმართ. კიდევ მეტი, საფრანგეთი არ დაიწყებს გერმანიასთან მოლაპარაკებას შეიარაღების შესახებ, სანამ გერმანია არ შეუერთდება აღმოსავლეთის პაქტს და რომის შეთანხმებას, გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილებამ დაამშვიდა საბჭოთა კავშირი, მცირე ანტანტა და ბალკანეთის ანტანტა რომის შეთანხმებათა მიმართ, რამდენადაც ახლა ეს შეთანხმებანი არ ქმნიან არც აღმოსავლეთის პაქტის შეცვლის, არც მისი დადებისათვის ხელის შეშლის საფრთხეს.

„ეკო დე პარის" ცნობები, როგორც ჩანს, სწორია, ვინაიდან ამას ადასტურებს მთელი პრესა (ატს).

ახალი მძლავრი მაღარო ტყიბულში

მოსკოვი, 20 იანვარი. ქვანახშირის მრეწველობის მთავარმა სამმართველომ დაამტკიცა ტყიბულის დასავლეთ უბანზე ახალი მძლავრი მაღაროს მოწყობის პროექტი. ამ მაღარომ წლიურად უნდა მოგვცეს 700 ათასი ტონა ქვანახშირი (ფიქალებთან ერთად). მაღარო „ბრმაა", ე. ი. ქვანახშირის ამოღება იწარმოებს გვირაბის შეშვებით, ხოლო მაღარო ზედაპირზე არ გამოვა. მაღაროს გათხრა დაიწყება მიმდინარე წელს.

ახალი მაღარო დაპროექტებულია ტყიბულის ქვანახშირზე მოთხოვნილების საგრძნობ ზრდასთან დაკავშირებით. ამ წლის 300 ათას ტონიდან ქვანახშირის ამოღება ტყიბულში 1937 წელს აყვანილ უნდა იქნას 700 ათას ტონამდე, ხოლო 1940 წელს—თითქმის 1 მილიონ ტონამდე. ამიტომ განზრახულია უახლოეს წლებში დაწყებულ იქნას კიდევ ერთი ახალი დიდი მაღაროს გათხრა ტყიბულის აღმოსავლეთ უბანზე.

ტყიბულის ახალ მაღაროში, რომლის გათხრა წელს დაიწყება, გამოთხრილი სივრცე ტრესტის პრაქტიკაში პირველად აივსება ფუჭი ქანით. საწარმოო პროცესები ახალ მაღაროში ფართოდ იქნება მექანიზებული. ქვანახშირის ამოღება მოხდება სანგრევი უროებით, მიწოდება—კონვეიერებით, ხოლო გადაზიდვა—აკუმულატორული ვაგონეტებით.

ახალ მაღაროს გათხრასთან ერთად ქვანახშირის მრეწველობის მთავარმა სამმართველომ დაამტკიცა ტყიბულში პირველი გამამდიდრებელი ფაბრიკის აგების პროექტი.

ქვანახშირის მრეწველობის მთავარი სამმართველო მწვავედ აყენებს ტყიბულის ქვანახშირის გატანის უზრუნველყოფის საკითხს. მომქმედი რკინიგზის შტო ტყიბულიდან ქუთაისამდე, 1936 წლიდან დაწყებული, ვერ გასწევს ქვანახშირის გატანას. ამიტომ ქვანახშირის მრეწველობის მთავარმა სამმართველომ გადაწყვიტა მოითხოვოს გზათა სახალხო კომისარიატში, რათა გატარდეს ამ შტოს ელექტროფიკაცია მისი გამტარ-უნარიანობის გასაძლიერებლად, ხოლო შემდეგ მისი რეკონსტრუქცია ფართო პროფილის შესწორების მიზნით (ატს).

◆

რესპუბლიკური თათბირი

მარქსისტულ-ლენინურ სალიტერატურო კრიტიკის საკითხებზე

23 იანვარს, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის № 13) ამხ. მალაქია ტოროშელიძის თავმჯდომარეობით გაიხსნება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მიერ მოწვეული რესპუბლიკური თათბირი მარქსისტულ-ლენინურ სალიტერატურო კრიტიკის საკითხებზე. დღის წესრიგი: 1. ქართული სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობა და ამოცანები—მომხ. ამხ. დ. დემეტრაძე. 2. ლიტერატურათმცოდნეობის ფრონტი საქართველოში — მომხ. ამხ. ბენ. ჟღენტი.

თათბირზე მოწვეული არიან საბჭოთა მწერლები, კრიტიკოსები და ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის სამეცნიერო მუშაკები, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების, საგამომცემლო ორგანიზაციების, [illegible], მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

თათბირს დაესწრებიან ქუთაისის და აჭარისტანის მწერალთა კავშირის წარმომადგენლები. დასაწყისი საღ. 7 საათზე. შესვლა მხოლოდ მოსაწვევი ბარათებით.

„კომუნისტის" ესკადრილია გამოფრინდა მოსკოვიდან

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი, 21 იანვარი. დღეს დილის 11 საათსა და 30 წუთზე, მოსკოვის აეროპორტიდან ტფილისში გამოფრინდა „კომუნისტის" ესკადრილია სამი თვითმფრინავის შემადგენლობით. გამოფრენა დაგვიანდა დიდი ნისლის გამო, მაგრამ დღეს მოსკოვში მზიანი დარი დადგა, ცა მოწმენდილია, სიცივე მხოლოდ ექვს გრადუსს უდრის გამძღოლ თვითმფრინავს მართავს მფრინავი შალიკო ჭანკვეტაძე. დანარჩენ თვითმფრინავებს მართავენ მფრინავები: ლევჩენკო და იანიშევსკი. თვითმფრინავებით მოემგზავრებიან საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის რწმუნებული ამხ. კილაძე და „კომუნისტის" კორესპონდენტი ამხ. დ. ლომთაძე. ესკადრილია გადმოფრინდება კავკასიის ქედზე. პირველ ღამეს გაათევენ დღეს ხარკოვში.

მუსიკოს-შემსრულებელთა სრ. საქართველოს კონკურსი

პირველი დღე

კონკურსი გახსნა ჟიურის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბოკუჩავამ. მან აღნიშნა ის უდიდესი ყურადღება და მზრუნველობა, რომელსაც საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოები იჩენენ ხელოვნების სხვადასხვა დარგისადმი.

საკონკურსო კონცერტზე პირველად გამოვიდა ამხ. ვ. ხორიშვილი, რომელმაც საყვირზე შეასრულა ბრანდტის კონცერტი „ეფ მოლ" და გრიგის „სოლვეიგის სიმღერა". შემდეგ გამოსულმა მომღერალმა ქალმა ტ. მიხეილკავამ ვირტუოზობით შეასრულა არია მოცარტის „ფიგაროს ქორწინებიდან", იპოლიტოვ-ივანოვის: „იაპონური მინიატურები", და სხვ. მომღერალმა ვ. ვართანოვამ ყურადღებამ მიიპყრო რახმანინოვის „კვლავ მარტო ვარ", არაყიშვილი „ივერიის მთებზე" და მასკანის ოპერა „სოფლის პატიოსნებიდან" არიის შესრულებით.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა კონსერვატორიის მეხუთე კურსის სტუდენტმა პიანინოზე დამკვრელმა ქალმა ქ. შამერანაშვილმა, რომელმაც შეასრულა მოცარტის სონატა „ცედურ", ბახ-ბუზონის პრელუდია და ფუგა „დესურ", პროკოფიევის მელოდია „ცედურ" და ლისტის მე-15 რაპსოდია. მან გამოამჟღავნა ტექნიკის დაუფლება.

მომღერალმა მ. ყვარელაშვილმა დამსწრე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ფოცხვერაშვილის „მეგრული ხალხური სიმღერის", ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან" ურმულისა და მშველიძის „ორომელას" შესრულებით. დიდი ინტერესით მოუსმინა საზოგადოებამ ნორჩ ვიოლონჩელისტ დ. ბარნაბიშვილს. აღტაცება გამოიწვია ნორჩი ვიოლონჩელისტის მიერ სენსანსის დიდი კონცერტის „ა. მოლის", მ. რაველის „მწუხარების", შოპენის ნოქტიურნი „ეს დურის" და რიმსკი—კორსაკოვის „ბუზანკალის გაფრენის" შესრულებამ. მომღერალმა ქალმა მ. ნაკაშიძემ შეასრულა არია „ფიგაროს ქორწინებიდან", ვერდის „ტრავიატადან", რიმსკი—კორსაკოვის „ვარდი და ბულბული", შტრაუსის „ვალსი" და სხვ.

პიანინოზე დამკვრელმა ასპირანტმა ბ. ჟვტიშვილმა გამოამჟღავნა შესრულების მაღალი ტექნიკა და ნაწარმოებთა [illegible] სრული გადმოცემის უნარი.

მეორე დღე

ჟიურის ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა მომღერალი ვ. კურტიძე. მის მიერ შესრულებული სიმღერები (იპოლიტოვ-ივანოვის „ორი ხალხური სიმღერა", სტრავინსკის „ტილიმბომ", მოცარტის „ბოხუცი ქალი" და სხვ.) მომღერალს უეჭველად მოწინავეთა რიგებში აყენებს.

დარბაზი მქუხარე ტაშით და გულთბილად აცილებს თამარა ლაფიაშვილს, რომელმაც მოხდენილად შეასრულა არია ოპერა „ლატავრადან" რახმანინოვის „აქ სიწყნარეა", არია ჩაიკოვსკის ოპერიდან „ორლეანელი ქალი" და სხვ.

19 იანვრის კონცერტზე გამოსულ დანარჩენ მომღერლებში აღსანიშნავია ვ. გამრეკელი და ვ. ყუფიანი. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ნორჩი ვიოლონჩელისტი ა. ჩიქავაძე, რომელმაც ადვილად შეასრულა ისეთი რთული ნაწარმოებები, როგორიცაა ჩაიკოვსკის „ვარიაციები თემაზე როკოკო", ჩარიურის „სონატა „ცედურ", სენალიეს „ალეგრო სპირიტუოზო", თაქთაქიშვილის „ნანა" და სხვ.

ტ. პოგოჟევამ შეასრულა ტარტინის ფუგა „ადურ". ჩაიკოვსკის კონცერტის პირველი ნაწილი, გოკელის „კანცონა", სუკის „ვალსი კაპრიზი" და სხვ.

ამით დასრულდა კონკურსის მეორე კონცერტი.

მესამე დღე

უკანასკნელი კონცერტი იხსნება პიანისტ ე. ოთაროვას მიერ შესრულებული ი. ს. ბახ-ბუზონის „ორი ქორალის" პრელუდიით, რომელსაც მოყვა ვაგნერ ლისტის „იზოლდას სიკვდილი", შოპენის ნოქტიურნი „ფისდურ", პოლონეზი „ასდურ", ლისტის „მეფისტო-ვალსი" და სხვ.

პიანისტმა ქალმა ვ. შუკაშვილმა ყურადღება მიიპყრო შოპენის სონატა „ბემოლის" და მშველიძის „ხორუმის" შესრულებით.

პიანინოზე რამდენიმე ნომერი შეასრულა აგრეთვე მ. ოსოვსკაიამ. პოლოსოვმა ვიოლინოზე იშვიათი ოსტატობით შეასრულა ბეთჰოვენის კონცერტი, სარასატეს „ინტროდუქცია და ტარანტელა", ი. ს. ბახის „ჩაკონა" და სხვ.

კონცერტზე გამოსული მომღერლებიდან მაყურებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია გოგი ტოროშელიძემ, რომელმაც შეასრულა დარგომიჟსკის „ბურუსმა მოიცვა სიერა-ნევადა", ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან" „ურმული", ბელის „26" და სხვ.

ამით დამთავრდა კონკურსი.

◆

საქ. ექიმ-მეცნიერთა დეკადა უკრაინაში

საქ. ჯანსახკომის ექიმთა სამეცნიერო საზოგადოებამ თვალსაჩინო საორგანიზაციო მუშაობა ჩაატარა უკრაინაში ქართველ ექიმ-მეცნიერთა დეკადის ჩასატარებლად. შედგენილია სია იმ პროფესორთა და სხვა მეცნიერ მუშაკთა, რომლებიც გაიგზავნებიან უკრაინაში. საორიენტაციოთ მიღებულია მთელი რიგი მეცნიერული მოხსენებები — უკრაინაში წასაკითხავათ.

„ჩაპაევი" ქუთაისში

19 იანვრიდან ქუთაისში კინოთეატრ „კომუნიში" დაიწყო ფილმ „ჩაპაევის" ჩვენება. სურათზე დასასწრებლად თეატრის დირექციაში შემოდის უამრავი განცხადება. მაღალაკის და პატრიკეთის კოლმეურნეობები რიგ-რიგობით ეგზავნიან თავიანთ წევრებს სურათზე დასასწრებლად.

18 იანვარს იმავე კინო-თეატრში მოხდა „ჩაპაევის" საზოგადოებრივი განხილვა.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

სს ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ

სს ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის სრულიად საკავშირო ყრილობაზე მოსკოვში გამგზავრების გამო ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება სს. ცაკის პრეზიდიუმის ა.-წ. იანვრის 19 დადგენილებით დროებით დაევალა სს ცაკის პრეზიდიუმის წევრს ამხ. ს. ჯუღელს.

სს ცაკის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ

სს ცაკის მდივნის ამხ. თანგიზ ჟღენტის სრულიად საკავშირო მეშვიდე ყრილობაზე მოსკოვში გამგზავრების გამო სს ცაკის მდივნის მოვალეობის დროებით შესრულება სს. ცაკის პრეზიდიუმის ა.-წ. იანვრის 14 დადგენილებით სს ცაკის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს ამხ. კ. ბარბაქაძეს.

„კომუნისტის" რედაქცია ა-წ 23 იანვარს, საღამოს 7 საათზე,

იწვევს

„კომუნისტის" დამკვრელ მუშკორთა შეკრებას

შეკრების დღის წესრიგი:

1) „კომუნისტის" დამკვრელი მუშკორების: ამხ. ვ. იხელიძის (სტალინის სახ. ორთქლმავალთ შემკეთებელი ქარხანა), მ. მაკარაშვილის (საკავშირო დეპო), არდემანიშვილის (ამიერკავშირის სახ. ვაგონების შემკეთებელი ქარხანა), ბ. ახობაძის ([illegible] ტრიკოტაჟის ქარხანა) მ. გიორგობიანის (აბრეშუმის ფაბრიკა) დ. ჭოლოშვილის (მაუდის ფაბრიკა) თვითანგარიში იმ თემაზე მუშკორული მუშაობის შესახებ.

2) მუშკორების ორგანო ხელმძღვანელ ჟურნალ „რაბოჩე კრესტიანსკი კორესპონდენტის" [illegible] მასალების დამუშავება.

მოწვევის ბარათები მიიღება „კომუნისტის" რედაქციის ბიუროში (რუსთაველის პრ. № 16)

„კომუნისტის" მუშკორთა განყოფილება.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზონი

დღეს წარმოდგ. არ არის. სალარო ღიაა 23 იანვარს 8 [illegible] ტრავიატა	24 იანვ. 2 წარმოდგ. დილით [illegible] საღამოს [illegible] ხამსუ და [illegible]	25 იანვარს 6 [illegible] ჩიო-ჩიო-სან (ქეთო ბ. ტერფელი)

„ევგენი ონეგინი" მე-43 [illegible] კოლის მიერ 24 იანვრის დილის [illegible] ბილ. გამოდგ. თებერვალში. ის აბონენტები რომლებსაც არ აქვთ შეტანილი მე 7 გადასახდელი ყველა აბონემენტზე წარმოდგენაზე არ დაიშვებიან, ხოლო მათი ადგილები გაიყიდება. გადასახდელის მიღება და ბილეთების გაყიდვა წარმოებს ყოველ დღე, დილით 11—2 ს. და საღ. 6—9 ს. ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე თეატრში არ დაიშვებიან. წარმ. დასაწყ. საღ. სრ 8 ს.

22 იანვარს 9 ახ. 4 წარ. მაისტერ	23 იანვარს 6 აბონ. 4 წარ. მაისტერ	24 იანვარს 1 აბონ. 5 [illegible] ნაბიჭვარი

თებერვლის და მარტის თვის მუდმივი ბილეთების ტალონები დარიგდება 25 იანვრიდან თეატრის ბილეთების [illegible] დილის 9-5 ს. 4 საათამდე. [illegible] წარმომ. დგენლები სათან. მონაწილეობით. [illegible] გადასახადი [illegible] სალაროში წარმოდგენის დღის 2 საათამდე [illegible]

22 იანვარს აბონ. გარეშე	წარმოდგენა № 66 ხინოშვილის გურია
23 იანვარს აბონ. გარეშე	წარმოდგენა № 67 მზის დაბნელება საქ.
24 იანვარს აბონ. გარეშე	წარმოდგენა № 68 ურიელ აკოსტა

[illegible] გადასახადი. სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე

ოქტომბერი 6, 7-30, 9, 10-30	ხმოვანი ფილმი სამი სიმღერა ლენინზე დილით 12 ს და 1 ს. 30 წ. სეანსები მოწაფეებისათვის.
დამკვრელი 5-30, 8, 9-30, 11	სპარტაკი ([illegible]) პრ. გარეშე—ლენინის ხსოვნას
[illegible] 3-30 [illegible] 9-30, 11	დადგმის მე-2 კვირა მხატვრ ფილმი მთვარე მარცხნივ
ლუქსემბურგის სახ. 5-30. 7-30. 9-10. 11	დადგმის მე-7 კვირა ხმოვანი ფილმი ჩაპაევი დილით მოწაფ.—[illegible]
„26"-ის კომ. სახ. 6. 7-30. 9. 10-30	მხატვრული ფილმი ტყის ამბავი პრ. გარეშე—ლენინის გარდაცვ. გამო.

დღეს 12 საათიდან 2 საათამდე, საღ. 6-დან 8-მდე „ოქტომბერი", „ლუქსემბ. სახ." „26 კომ. სახ." კინო-თეატრებში [illegible] სკოლებიდან [illegible] სეანსებზე არდადეგების განმავლობაში.

რუსთაველის თეატრი
სანდრო ახმეტელის
ხელმძღვანელობით
1934—35 წლ. სეზონი.

ზამთრის არდადეგების წარმოდგენები ტფილ. მოსწავლეთათვის
დილის 12 საათზე
საშუალო სასწავლებლებისათვის
24 იანვარი—ნაბიჭვარი
30 იანვარი—დუშმანი

არა საშუალო სკოლებისათვის ნაწილი ბილეთებისა გაიყიდება თეატრის სალაროში
ბილეთების ღირებ. 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.
სალარო ღიაა 11—2, 6—9. ნ. 22

გამოვიდა ჟურნალი
„მნათობი" № 10
შინაარსი:
მხატვრული ლიტერატურა
დ. შენგელაია—ბაშკადიკლარ (მოთხრობა).
ვ. ქურული—ნარაზები (პოემა).
მ. მრევლიშვილი—შიში (მოთხრობა).
ირ. აბაშიძე—ბურთაობა (ლექსი).
ალ. ქუთათელი—ალისმერეთი (ლექსი).
ვ. რუხაძე—სუროვიკი (ლექსები).
კ. გამსახურდია—მთვარის მოტაცება (რომანი—გაგრძელება).
მ. ლერმონტოვი—[illegible] (თარგ. გ. გაჩეჩილაძისა).
ნიბელუნგები—ერთი თავი (თარგ. კ. ჰიპკიაძის).
ქ. ლომთათიძე—დღიური (დასასრული).
მწერალთა საკავშირო ყრილობა
ნ. ბუხარინი—პოეზია, პოეტიკა და პოეტურ შემოქმედების ამოცანები სსრკ-ში (დასასრული).
კრიტიკა და პუბლიცისტიკა
გ. ნატროშვილი—ნიკო ლორთქიფანიძე.
ბ. გაწერელია—[illegible].
გ. მენაბდე—მარქსი და ბალზაკი.
ნ. ურუშაძე—ერნსტ ტოლერი.
წარსულიდან
ქ. აბაშიძე—რ. აბაშიძე.
ახალი წიგნები
ქ. ჯავრიშვილი—[illegible] „[illegible] დასასვლელი".
გ—ხ— კელაძის „ქარიშხლის [illegible]"
მფ.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
24 იანვარს
ზამთრის არდადეგებთან დაკავშირებით
დილის წარმოდგენა
ურიელ აკოსტა
დრამა 4 მოქმ. გუცკოვის თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის.
დასაწყისი დილის 12 საათზე.
ბილეთების ფასები 1 მ. 50 კაპ.—5 მანეთამდე.
სკოლებს, რომლებიც დაკვეთებით, კოლექტიურად შეიძენენ 25 ბილეთს, ან მეტს, მიეცემათ შეღავათი 40 პროცენტი.
სალარო ღიაა დილის 11—2 ს., საღ 6—9 ს. ნ. 28

ტ. ს. ო. კ-ის მაღაზიებში
იყიდება:
ფქვილი ყოველი თვის 5 და 20 რიცხვს.
ბურღული—ფეტვ. მარცვლოვანი [illegible] ბურღული [illegible] — ყოველი თვის 10 და 15 რიცხვს.
მაკარონი—ვერმიშელი—ყოველი თვის 13 და 28 რიცხვს.
ნ. 20 ტ. ს. ო. კ.

თანახმა ს. ს. არბიტრის დადგენილებისა, სასამართლოს აღმასრულებელი ი. ნემსაძე ამით აცხადებს რომ 1935 წლის 25 იანვარს, დღის 2 საათზე, რუსის ქ. და თოფის შეს. № 1—36,
საჯარო ვაჭრობით გაიყიდება
არტ. „უარაჭუხის" კონტორა და ადილოტ ინვენტარი).
ქონება შეფასებულია 3.370 მან. 2 კაპ.
გაიყიდება არტელ „შრომის" პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად.
65-1

ექიმი
ს. ვ. მუსხელიშვილი
თვალის
სნეულებანი
ავადმყოფების იღება
5—7 საათამდე
გორგასალის ქ. № 6
6484 10-1

მეგობრები ბ. ფალავა, ი. ჯანელიძე, მ. ბრეგაძე, დ. დოხნაძე, ს. ნადირაძე, დ. ჩორგოლია, ა. კლდიაშვილი, ნ. ტატიშვილი, ქ. გრებენშჩიკოვა, ა. ვაშალომიძე, გ. ტოგონიძე, ნ. ჩხენკელი, მ. ნაცვლიშვილი, ს. უნაჭოშვილი ა. კობახიძე იზიარებენ ამხ. მიშა ქორქაშვილის მწუხარებას მისი ერთად-ერთი შვილის

თინას

უდროოდ გარდაცვალების გამო.

დიომიდე, ისიდორე, ივანე, თამარ, ზარბილე, გრიგოლი, ისაკი, ნინა და ნინა ჭურიძეები იუწყებიან

გაბრიელ ბარდის-ძე ჭურიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება წერეთლის ქ. № 4-დან.

შვილები: ალექსანდრე, ივანე, ანასტასია, ფხაკაძეები, რძლები: მარო, ვერა, შვილიშვილები: ლუბა, ვერა, საშა, გრიშა, ილუშა, თამარა, სიძე ტრიფონ კოცია იუწყებიან

ურაფინა ივანეს ასულ ფხაკაძის

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე 6 ს. გამოსვენება 24 იანვარს, საბჭოს ქ. № 77-დან.

მამა, ნელი, დიტო, მინადორა და შურა წვერავები იუწყებიან, რომ 24 იანვარს 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი

ქრისტინე მანჯავიძე—წვერავას

ხსოვნის აღსანიშნავად.

უახლოესი მეგობრები: ს. სურგულაძე, კ. რუხაძე, პ. ქორიძე, კ. კურჩიბაშვილი, ო. დავლიანიძე, შ. ასათიანი, ვ. ცომაია, ბ. ფოგელი, ე. შონია, იუწყებიან ამხ. ნიკო სხვიტარიძის მამის

ხილოვან სხვიტარიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 24 იანვარს პეტრიაშვილის ქ. № 7. 3 საათზე ვერის სასაფლაოზე.

მეუღლე მაშო, შვილები: ნიკოლოზი ცოლი მასურიათი, ნიკიტა, ქილიშვილი კატო იუწყებიან

ხილოვან ნიკოლოზის-ძე სხვიტარიძის

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი 23 იანვარს 7 ს. დაკრძალვა 24 იანვარს 3 ს. ვერის სასაფლაოზე.

შვილი მარო, სიძე საშა, შვილიშვილები ჰამლეტი და ლუზა ცაგარელები იუწყებიან

ივანე დავითის-ძე ონიკიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 23 იანვარს 4 ს. დილომ-ბარისახის ქ. № 8, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

მშობლები: ოლია, ქრისტინე ხუწყარიძეები, ბებია ელენა, დეიდები: ვენია და ვალენტინა გურიები იუწყებიან

ლიანას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 იანვარს, 4 ს. გამოსვენება კ. ცეტკინის ქ. № 120.

ნინა, პეტრე, ნინელი და გოგი ცაგარელები იუწყებიან, პირველის მამის, მეორეების ბაბუას

ივანე დავითის-ძე ონიკაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 იანვარს. კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება 4 ს. დილომ-ბარისახის ქ. № 8.

1—1 6552

მეუღლე ეკატერინა დონდაროვა—დალაქიშვილისა იუწყება, რომ 24 იანვარს 3½ საათზე დაუვიწყარი ქმრის

ვახტანგ დალაქიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქ. პანაშვიდი

1—1 6550

შ. შინდელი, ე. ლაგთაძე, გ. კაზაძე, ა. სიამაშვილი, მ. ფალავანდიშვილი, ვ. ბერაძე, ს. გოგიტიშვილი, დ. გორდაძე, ი. კვანტრიშვილი, გ. ჯინჭარაძე იუწყებიან უახლოესი ამხანაგის ილია კოკვაძის დის

ქრისტინა ფილიპეს ასულ კიკვაძის

უდროოდ გარდაცვალებას ტფილისში.

1—1 6549

მამა ირაკლი ოფხაზავა შვილებით: ნინათი და ჯანიკათი, ირაკლი ქინიათი და თინიკოთი იუწყებიან, რომ 24 იანვარს 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

ლიდიკოს

1—1 ხსოვნის აღსანიშნავად. 6548

უახლოესი ამხანაგები: ვასილი და სონია ჩარგაზიები, ილია და დორა ბერულავები, მალაქია და ნინა ფირცხალავები იუწყებიან ამხ. პიმენ ჩარგაზიას მეუღლის

ტატიანა არჩილის ასულ ჩარგაზიას

1—1 უდროოდ გარდაცვალებას 6543

ქმარი ოლინკა დგებუაძისა, დეიდები: მარიამი, მატრონა, კატო, ბიძა სოლომონ წერეთელი ოჯახით იუწყებიან შვილის დისწულის

ნუცა დგებუაძის

გარდაცვალებას, გამოსვენება იანვრის 22-ს 4 ს. ჩიტაძის ქ. № 13

1—1 6536

ბიძა [illegible], ოლღა, ალექსანდრა, მარიამი, ვალოდია, ნუცა, მიხეილი, ნიკუშა თამარ წერეთლები იუწყებიან დისწულის მამიდაშვილის, მასწავლებლის

ნუცა დგებუაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 22 იანვარს 4 ს. ჩიტაძის ქ. № 13.

1—1 6536

ძმები: სიმონ მასურაძე და ანტონ შანშიაშვილი, ძმები: სტეფანე და კოლია იუწყებიან

ფოფო (სოფო) გოგოსაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 იანვარს 4 ს. გამოსვენება ახალი არსენალის ქ. № 27.

1—1 6551

შვილები: წყალობა და მაკო, ძმები: სტეფანე და კოლია, დები: სონია, მარგალიტა და ანიკო იუწყებიან

ფოფო (სოფო) გოგოსაშვილის

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი 22 საღამოს 6 საათზე ახალი არსენალის ქ. № 27

1—1 6551

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 8 ტელეფონები: რედაქტორის 3-52-26, რედაქტორის მოადგილის 3-63-08, პასუხისმგებელი მდივნის 3-06-88, მასობრივი განყოფილების 3-78-24, პარტმშენებლობის განყოფილების 3-57-61, სამრეწველო განყოფილების 3-78-40, სტამბის 3-27-04, გამომცემლობის 3-51-81 ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 58

მთავლიტის რწმუნებული 9500